პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 11 (19752) ოთხშაბათი, 14 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

თეატრი — დროის პირმშო

თეატრი, დრო, ცხოვრება — ამ დღევანდელ ნარჩევებთან გასული წლის დეკემბერში სსრკ თეატრალურ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. ეს იყო თეატრალური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ. ბევრი რამ მოხდა დროის ამ მცირე მონაკვეთში, ბევრი რამ საფუძველიანად შეიცვალა, გაუმჯობესდა და გარდაიქმნა. ვერც თეატრი გაძლებდა უგარდაქმნოდ, რადგან, მართალია, თეატრალური ხელოვნების უსუფები უძველეს ხანაშია, თეატრი თავისთავად დროის პირმშოა. ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა თეატრისა და თანამედროვეობის თანხმიერებას, თანამედროვეობის დიდ, უფრო ზუსტად, მთავარ როლს სცენაზე. დიახ, ქვეყანაში მიმდინარე დღევანდელმა რევოლუციურმა გარდაქმნებმა თეატრალური ცხოვრების საფუძველიანი გარდაქმნაც მოითხოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება თეატრს, როგორც აღმზრდელობითს კერას, მის, როგორც ზნეობრივ კოდექსთა კოლექტიური ავტორის, მოქალაქეობრივ პათოსს, მის კეთილ გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების სპერთო ატმოსფეროზე, გემოვნება-განწყობილებაზე და, უფრო მეტიც, — იდეალებზე!

თავისთავად თეატრის მოღვაწეთა ახალი ერთობა, ახალი გაერთიანება — სსრ კავშირის თეატრალურ საზოგადოებათა კავშირი, როგორც დამფუძნებელი ყრილობის დღეებში ითქვა, მოწოდებულია სწორედ სიმისოდ, რომ იყოს პარტიის აქტიური სოციალური პოლიტიკის გამტარებელი, ხელი შეუწყოს სულიერ სფეროში მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას, შეებრძოლოს უღიმამობასა და უიდეობას.

მხატვრული სიმართლის დამკვიდრებაა ყოველი თეატრის ზეამოცანა. მხატვრული სიმართლის, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, მშვენიერების ცინცხალი განცდით ცხოვრობდა და ცხოვრობს ყოველი თეატრი და, ცხადია, ქართული თეატრიც.

თეატრი ყველგან თეატრია — დედაქალაქში იქნება იგი თუ მის ფარგლებს მიღმა. დღეს ძალზე თვალსაჩინოა დამოუკიდებელი თავისთავადი თეატრალური აზროვნებაც და სპექტაკლების ორიგინალური არქიტექტონიკაც არა მარტო თბილისის სამეერო თუ ორთავ აკადემიურ დრამატულ თეატრში, კინომსახიობის, მოზარდმაყურებლთა ქართულ, პანტომიმის, მარიონეტებისა თუ მეტნის ახალგაზრდულ თეატრში, ქუთაისსა და თელავში, სოხუმის აფხაზურ და ქართულ თეატრებში, ჭიათურაში და ფოთში, ახალციხეში. სრულიად თავისებური ახლებური, რეჟისორული და აქტიორულად გამორჩეული არავერთი მაგალითით გაგვახარა რუსთაველის თეატრმა, რომლის სპექტაკლებში მინაურმა თუ უცხოელმა მაყურებელმა შეიცნო ეროვნული ენერგიის ამოუწურავი მარაგი. დიახაც, საამაყოა, როდესაც დღითიდღე ფართოვდება ქართული თეატრალური ხელოვნების ასპარეზი, როდესაც მსოფლიო საგასტროლო რუკაზე უკვე საძიებელია არაქართული წერტილები, როდესაც ქართული თეატრის სპექტაკლები უმაღლეს ნიმუშად და გაკვეთილებად ესახებათ როგორც რუსეთის ბალეტის გარეთ, ისე უცხოეთში. როდესაც ჰალმა პირველობისა ქართველი მომღერლებისა და მოცეკვავის წილხვედრი ხდება — სიამაყით გვავსებს მაყვალა ქასრაშვილის, ზურაბ სოტკილავას, ციისანა ტატიშვილის, პაატა ბურჭულაძის, მაია თომაძის, ნინო ანანიაშვილის სახელები.

...ყველას როდი ეყავს ვერიკო ანჯაფარიძე! მან პირნათლად აღასრულა საიუბილეო საღამოზე აღთქმული პირობა, რომ მიუხედავად ასაკისა არ განუდგებოდა საყვარელ თეატრს, სცენას, რომელთანაც თანშეზრდილია და განა არ აწრთობს, არ ეკრთნის ხელოვანი ასეთი ზნეობრივი თავდადებით ახალთაობის ჯერ კიდევ ნედლ ბუნებას, განა მკაფიოდ არ აღიბეჭდება მათს სულებზე მისი ხმა, საოცარი მსატვრული ძალით წაკითხული ქართული პოეზია და პროზა, ეკადსებულად რომ ეთქვათ, „ადგილის დედის“ ზღაპრივით საამო?

„გაკვლევოთ საბჭოთა საზოგადოების ადამიანს ყოველივე საუკეთესო — ეს დიდი ჰუმანური საქმეა, ასეთია სოციალიზმის დანიშნულება და აქ ლიტერატურა, ხელოვნება, ჩვენი შემოქმედი ინტელიგენციის შრომა უდიდეს როლს ასრულებენ“, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა სასცენო ხელოვნების წამყვანი ოსტატების ჯგუფთან, მოკავშირე რესპუბლიკების თეატრალური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას სსრკ თეატრალურ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელი ყრილობის წინ.

გაიმართა გულითადი აზრთა გაზიარება, განიხილეს ახალ პირობებში თეატრის მუშაობის, თეატრალური კავშირის შექმნის, ყველა შემოქმედებითი ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომი გააქტიურების საკითხები. ჭეშმარიტად ბედნიერებაა, იყო მონაწილე ამ სერიოზული გარდაქმნებისა. თეატრი დიდი გამწვევი ძალაა — კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც, ერთდროულად დინამიკური და ბერძნობიარე, ალღოიანი და წინასწარმეტყველურიც, მხატვრული პოტენცია მსახიობისა, როგორც ცოცხალი „მასალისაგან“ — იგივე საკუთარი თავისგან სხვა პიროვნების გამომქანდაკებლისა, ანიჭებს უპირატესობას სასცენო ხელოვნებას ხელოვნების სხვა დარგთა შორის!

სიახლეთა წამოწყებისას პარტია ხედავს მხარდაჭერას ინტელიგენციის მხრივ და უფრო მეტ თანადგომას მოელის მისგან საზოგადოების ზნეობრივი განახლებისათვის ბრძოლის საქმეში. დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ცხოვრების დემოკრატიზაციას, რაც ქვეყნის განმტკიცების ერთერთი უტყუარი პირობაა. თეატრალური ხელოვნება ოდითგანვე დემოკრატიული ხელოვნებაა — ხალხი, მაყურებელი, თეატრის არსებითი კომპონენტთაგანია. ხალხის თანამონაწილეობით ცოცხლობს თეატრი, უხალხოდ კი იგი ჩაკვდება. დღეიდან ამ ურთიერთობებს ახალი ამოცანები, ახალი თვალსაწიერი ესახება — თეატრი ცოცხალი ორგანიზმია. აზროვნების, მღერის, ეკვეთს, იცინის, ტირის და ამდენს საკვირველებას, სასწაულს, რომელსაც კათარზისი — განწმენდა ეწოდება.

და ამ საკვირველი ხელოვნების მოღვაწეთა ყრილობაზე დაისახა ახალი გზები, გამოიკვეთა ახალი სურვილები, რითაც ფუძი უნდა აუწყოს თეატრმა ქვეყნის საერთო დინამიკურ განვითარებას. დაისახა ცვლილებები თვით შინათეატრალურ ცხოვრებაში, რაც იძლევა თამამი ექსპერიმენტების, დრამატურგთან უბარიერო შემოქმედებითი ურთიერთობის, თავისუფალი არჩევნისა და სპექტაკლზე არარეგლამენტირებული მუშაობის საშუალებას.

ახალი წლიდან ახლებური ცხოვრება დაიწყება საბჭოთის სამოდაასზე მეტ თეატრში. აქედან ოთხი ქართულია: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის სახელობის თეატრი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი და თელავის თეატრი. რას ნიშნავს, რას შეეხება უმთავრესად ეს სიახლე, ერთბაშად დამკვიდრდება იგი თეატრალურ ყოფაში თუ მტკივნეული იქნება? აქ მთავარია დასების გადახალისების საკითხი (ცნობილია, რომ ბევრგან გადაჭარბებულია განსაზღვრული დონე) — ამიტომაც დაწესდა კენჭისყრის სისტემა, გაფართოვდა სამსატვრო საბჭოს უფლებები. ცხადია, ასეთი რეფორმა უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის, მაგრამ აქ ისევ და ისევ თეატრალური კოლექტიურობის, ჰუმანურობისა და სამართლიანობის გრძნობას უნდა მივენდოთ. თეატრალური საქმის ახალი მოდელი გულისხმობს თეატრების მაქსიმალურად შესაძლო თვითმმართველობას, დამოუკიდებლობას, დეფარგარიას. ეს იქნება უკეთესი სპექტაკლების, უკეთესი რეპერტუარის შექმნის საწინდარი. გარანტია ბედნიერი მაყურებლებით სავსე დარბაზებისა, თეატრში დრამატურგის დამკვიდრებისა, რადგან ყოველი დასი ეძებს და ელის თავის დრამატურგს. ჯერჯერობით კი მაინც აკლია თეატრს სახრდო, თუმცა ქართულმა პიესამ დიდ ნიჭიერ კედელსაც გადააბიჯა.

კულტურის ორგანოებთან ერთად ამ ექსპერიმენტის ახროეენტიანი განხორციელება ეკისრება ახლად დაფუძნებულ სსრკ თეატრალურ საზოგადოებათა კავშირს, რომლის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე სსრ კავშირის სახალხო არტისტი კ. ი. ლავროვია. მოხსენებაში მან გამოკვეთა თეატრალური მოღვაწის დიდი მისია, მთავარი სადღეისო ამოცანა: დაუბრუნოს თეატრს უმაღლესი სანახაობითი ხელოვნების მნიშვნელობა!

„ახალი კავშირი უნდა გახდეს თეატრალურ საზოგადოებათა მზრუნველი მემკვიდრე, არაფერი მნიშვნელოვანი არ დაამსხვრიოს, ყველაფერი ცოცხალი შეინარჩუნოს, ყველა სასარგებლო ფუნქცია განაგრძოს, ემსახუროს მრავალეროვნული სასცენო ხელოვნების განვითარებას“.

ეს სიტყვები ყოველი თეატრალური მოღვაწის გულისთქმის გამოძახილია, იმ მოღვაწეთა აზრის თანაზიარია, საოცარ სულიერ კავშირს რომ გრძნობენ დღევანდელ გარდაქმნებთან და გარდატეხასთან. თეატრი დროის პირმშოა. ასეთი იყო და არის ქართული თეატრიც, რომლის დღედ 14 იანვარი დაწესა ქართველმა ხალხმა. ამ ტრადიციული ეროვნული ზეიმის დღეს ემთხვევა გამოჩენილი რეჟისორის სანდრო ახმეტელის საუკუნოვანი იუბილე. მისეული გზა-კვალი არ დაუკარგავს ქართულ თეატრს.

...ახი წლის კაცი დღეს შეიძლება ჩვენს გვერდითაც ყოფილიყო ; და კოსმოსურ ხანაში ლიმილით გავხსენებინა წადილი და ცდა გაფრენისა, სიჭაბუკეში რომ არ ასვენებდა. ძველმა პრესამ შემოგვინახა ფაქტი, რომ ალექსანდრე ახმეტელაშვილს გამოუგონებია საფრენი მანქანა; ეს ჩაუნიშნავს თავისთვის მისი სიყრმის მეგობარს, პოეტსა და დრამატურგს სანდრო შანშიაშვილს:

„სანდრო ახმეტელი სტუდენტობის დროს მოუსვენარი და დაუდგრომელი პიროვნება იყო. იგი ანგელი იყო, მაგრამ დროებით მაჩხაანში ცხოვრობდა. აქ მან დურგლებს გააკეთებინა პაროპლანი და მაჩხაანის გორაკიდან ალაზნისაკენ გაფრინდა. ეს მაშინ დიდი ამბავი იყო და ამის გამო გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მისი სურათი მოთავსეს“. მან ამ სოფელში დადგა სუმბათაშვილის „ლალატი“.

ეს იყო 1910 წელს.

1934 წელს კი ქართული თეატრის ბერმუხამ ვალერიან გუნიამ ასე მიმართა ახმეტელს: „ჩემო სანდრო! ბავშვობიდანვე გიცნობ, ყმაწვილობაში ავიაციას სწავლობდი, ფრთების შეხსმას და ფრენას იყავ მოწადინებული... მაგრამ როგორი ფრენა შეედრება იმ მძლავრ გაქანებას, რომელიც შენ გამოიჩინე ეროვნული ხელოვნების დარგში“.

ასე გადაენასკვა ერთმანეთს სანდრო ახმეტელის ორი გატაცება, რომელთაგანაც თეატრმა სძღია, რადგან თეატრალურ ხელოვნებაში მეტი აღმაფრენა და ძალა ეოყა. ეს აღმაფრენა დღემდე ასულდგმულებს და ამშვენებს ქართულ თეატრს. შემკვიდრეობითობის ძალაც ამაშია! ამიტომ ულებს ახალსახლობაზე მშობლიური თეატრი კარს პირველად მას, ვის სახელთანაც დაკავშირებულია რუსთაველელთა ტრიუმფალური სვლები.

ეს ეროვნული თეატრის სასაკეთო, გმირულ-რომანტიკული ტრადიციების დღეგრძელობასაც მოასწავებს.

ბრიგადირი ლომინა

ისტორიულად მწირ მიწა-სთან მებრძოლი ხასიათია იმერული ხასიათი. აქაურ კაცს ვერც შრომაში, ვერც ლხინსა და ჭირში გაჭირვებას ვერ შეატყობდი, თორემ — უჭირდა. არადა, ამ მაღლიან საქართველოში, სადაც, უკუღმა რომ ისროლო მარცვალი, წაღმა ამოდის, ღარიბ სოფელს რა უნდა. არც სიტყვა „ღარიბი“ არის აქ მთლად უპრიანი ნათქვამი... მაგრამ ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ ზემო იმერეთში ხმა დაირხა — მთავრობას უთქვამს: გირჩევთ, მდიდარ, მდიდარ კი არა, უმდიდრეს მიწებს მოგართმევთ და ოჩამჩირის რაიონში გადასახლდითო... პირველად თურმე დიდი ჩოჩქოლი ამტყდარა, სოფლის თავკაცები მთავრობას ხლეინან და მათთვის შეგულიანებულ ოჩამჩირის რაიონშიც ჩასულან.

დიდი დრო არ მონდომებია გადაწყვეტილების მიღებას, საჩხერიდან ოჩამჩირემდე ვაეკაცი კაცი ჩაუმუხლებლად უნდა ჩავიდეს, პირველად უფროს ხალხს მოუნახულებია სოფელი კოჩარა. გაკვირვებული დარჩენილან, ძმებივით შეგვხვდნენო აფხაზეთში. ისე მოსწონებიათ ხალხი და გარემო, მთავრობის რჩევა-დარიგება მიუღიათ და ერთ მშვენიერ დღეს ამდგარან და.. ახი ოჯახი გადმოსახლებულა.

ლომინა ლომიძე სულ ახალგაზრდა კაცი იყო მაშინ, თვალტანადი, სტყვაპასუხიანი, გამრჯე და საიმედო... აქაური სტუმარმასპინძლობის ცნობილი ეთიკა არ დარღვეულა. მასპინძლებმა სოფლის განპირა საუკეთესო ადგილები გამოუყვეს, სტუმრებმა სამოსახლოები შეირჩიეს (მაშინ აქეთ არც ელექტრონი იყო, არც ტელეფონი და არც ტელევიზორი).

რახან ერთიუბნად მოისურვეს მოსულებმა დასახლება, ბრიგადაც ერთი შექმნეს, ეგ არის, ნომერი შეხდათ „უიღბლო“ — მეცამეტე.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მე-13 ბრიგადა მალე გავიდა სამუშაოდ. აქ ჩაია ძირითადი კულტურა, ბრიგადაში 94 ოჯახია, ყველა მეზობელი, ყველა ნათესავი და ყველა ახლობელი.

სკოლა, კულტურის სახლი, ერთი სიტყვით, მე-13 ბრიგადა მალე და კარგად „ჩაიხატა“ სოფლის საერთო სურათში.

სოფელში ხუთასზე მეტი კომლია, გეგმა — 640 ტონა. შესრულება 700-ზე მეტი...

ახალი ფართობების გაშენება, ლაო ჩაი, აბრეშუმი, ბოსტნეული... სოფელში რა დალევს საქმეს, ყველაფერი, რაც სოფელში ხდება, უპირველესად ბრიგადირის საქმეა...

რომ მოინდომო, და არსებული სტანდარტების მიხედვით გააშუქო „ბრიგადირის დღე“, ყოველ შემთხვევაში ამ ბრიგადირისა, რომელზეც მოგახსენებთ, „გათენებამდე დგებაო, მერე ბრიგადას ჩამოუვლის, ჭიშკრიდან შესძახებს, მერე ამბავს გამოპკითხავსო“, — არაფერი არ გამოვა. ლომინა სხვა კაცია, თვითონ იცის თავისი საქმე, ვის მიადგეს და ვის ეახლოს. ამ უბანში, ვინც ხელს აძრევს, ან მასთან არის გაზრდილი, ან მის თვალწინ, არ არის ისეთი კაცი, საქმეს მარტო მოსავლის აღება-დაბინავებით ამთავრებდეს... ხალხს იცნობს და თვალსაწიერიც შორი აქვს, აგერ, რომ მაჯარაშვილებია, შუბითიძეებია, გელაშვილებია და სხვები, ამათ იმედად ყოველთვის უნდა იყო, ახლა ჩვენში შრომა რომ სიკეთის მომტანია, ამის ახსნა, არავის სჯერდება, არც კულტურის სახლი უკვირს ვინმეს...

ლომინას უფრო სახვალეო საქმე აღელვებს.

— დღეს კაცობრიობა ჩვენზეა მოჩერებული, — ამბობს ლომინა, — უპირველესად მშვიდობის საქმე მოითხოვს დაჩქარებასაც და გარდაქმნასაც... გარდაქმნა მფიქრებს მე, დიდი და ახალი აზრია ამაში, აქ მთავარი თვითაღზრდისა და შეგნების მომენტი მიმაჩნია, სულში უნდა გვეკვიდეს გამზომიცა და მეთვალყურეც, ვინ იცის საკუთარ თავზე უკეთ, ვინ რას აკეთებს და როგორ... კარგად ცხოვრობს ახლა ჩვენი ხალხი. შედარება არ არის, ყველამ იცის ეს, თვალითაც ჩანს, რა ურწმუნოც უნდა იყოს კაცი, აქაურობის მნახველი ვინ უნდა იყოს, რომ წინსვლა არ დაინახოს, ჩვენი ქვეყნის ამ საერთო სიკეთემ თითოეულ ჩვენგანზე მოახდინა გავლენა. ახლა უკეთ მუშაობს კაცი, „ჩემი სიკეთე“ „ჩვენი სიკეთისა“ ნაწილია, აგერ მაგალითს გეტყვით დღევანდელს, ახლა, მოგეხსენებათ, გადაბარვის (ანუ ნულის მინერალური სასუქების შეტანის) დროა, სადრენაჟო არხების გაყვანა და გაწმენდაა საჭირო. ბრიგადირი რა ბრიგადირია, თუ არ იცის, რომ დღეს წყდება ხვალის საქმე და თუ ზამთარი „წოლის დრო“ ჰგონია.

— ზამთარში, ლომინა ბატონო, მარტო დათვს სძინავს! — ჩაერია საუბარში უფროსი ბუღალტერი ვალერიან პაპავა.

მასპინძელმა გაიღიმა და განაგრძო:

— ახლა ამ სამუშაოებს ვამოწმებ, არ მოყვარს ეს სიტყვა „ვამოწმებ“. რა, ჩაფარიევთან კი არ ვუვლი სოფელს, ვუყურებ, ვინ რით ცხოვრობს, ვინ რით სუნთქავს და, წარსულს რომ ვადარებ, ვატყობ, სწორედ სანი მიდის ეს გარდაქმნის დიაგონალი, შრომა ის მოთხოვნილებაა, რომლის შეხსენება სიცხვილია უკვე.. უკვე ბევრგან საქმე ისე კეთდება, მეთვალყურე არ სჭირდება თითქმის... ჩვენთან კიდევ ერთი შინაპროცესი მიმდინარეობს, უცხო თვალისათვის ერთბაშად შეუმჩნეველი: ახალგაზრდობამ თითქმის მთლიანად იბრუნა პირი სოფლისაკენ, ამას ბევრი მიზეზი აქვს, ერთ-ერთი მათ შორის მატერიალური ანაზღაურებაა. გენაცვალოთ ჩემი თავი, სამი და ოთხი ათას მანეთს რომ წლის ნაჯაფარს მიიღებ, რატომ არ უნდა დაგიდგეს გული შენს სახლში. თუ ვინმეს სწავლა უნდა, აქაც ისწავლის..

ბრიგადირი ხალხთა მეგობრობისა და შრომის დიდების ორდენებით არის დაჯილდოებული, სხვაც ბევრი ჯილდო და მედალი უმშვენებს მკერდს, მაგრამ იგი კიდევ ერთი, საგანგებო, მომადლებული ნიჭიერებით არის ცნობილი — ადამიანის სიყვარულის ნიჭით.

როცა საჩხერის რაიონიდან, კოჩრიაში ახალმოსახლეები მოვიდნენ, ბუნებრივია, სხვა დღესასწაულებზე უფრო ხშირი ამ უბანში „ახალმოსახლეობა“ ანუ „ჭერის დასურვა“ იყო, ჩვენში ყველგან იციან ნადი — ესე იგი დამხმარე, ახლობლები, მეზობლები..

იმდენი ნადური არ უმღერიათ, რამდენიც „იმერლების სტუმრობაო, ნუ გგონიათ ხუმრობაო“ — აქ უყვართ ეს სიმღერა, ალბათ იმიტომ, რომ ამ სიმღერაში მართლაც არის რაღაც თავმომწონეობის გამომსახველი.

მშვენიერია აქაურობა.

სოფელი კოჩორა, კოლმეურნეობა „საქართველო“.

ზარაგზიდან მარჯვნივ გადაუხვევთ, ალმართს აივლით,(ახალი ხიდი შეგხვდებათო, ცოტას აივაკეთ და ერთ პატარა კოპწია სახლში იმერეთის ქუჩის №43-ში ცხოვრობს კოლმეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადირი ლომინა ფილიმონის ძე ლომძე.

ი. გოგბეჩია,
რ. ახვლედიანი.



ზრომითი ქრონიკა

ციტრუსების გაღებსა და ჩაის პლანტაციებში

მახარაძე

რაიონის მეციტრუსეებმა ესეს არის ციტრუსების უხვი მოსავალი დაბინავეს. გეგმა-დავალების გადაჭარბებით შესრულება განსაზღვრა ბაღების კარგმა მოვლა-პატრონობამ. აქ ახალი წლის დამდეგიდანვე მომავალი მოსავლისათვის ზრუნვა ერთი წუთითაც არ შეუნელებია.

ნატანების, შრომის, გულიანის, კონჭკათის და სხვა მეურნეობების ბაღებში დროულად დაიწყო საზამთრო სამუშაოები. ლიმონისა და მანდარინის ხეები საგულდაგულოდ შეფუთეს, ლიმონარიუმები გადახურეს და ჯათბობისათვის საწვავით უზრუნველყვეს, რაიონის ნარგავების ყინვებისგან დაცვის ყველა სამუშაო დამთავრდა. ახლა მეციტრუსეები ემზადებიან ბაღების დაბარვისა და მინერალური და ორგანული სასუქების შესატანად, რომელიც აგროწესებით 15 თებერვლიდან იწყება.

ჩქარობენ მეჩაიეებიც. პლანტაციების მწკრივთშორისების დამუშავების პარალელურად მიმდინარეობს ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა. კონჭკათის კოლმეურნეობის მიჩაიეები ვენერა ჩადუნელი, მზია მალაზონია, მარუსია და ოფელია ტუღუშები, ციალა კოსტავა, ნაზი კვაჭანტირაძე და სხვები ზამთრის ხელსაყრელ ამინდში დროს არ კარგავენ, ჩაის ბუჩქებში შეაქვთ სასუქები, აფხვიერებენ ნიადაგს, გაჰყავთ სადრენაჟო არხები. ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების საზამთრო სამუშაოებში დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ანგელ ჩანჩიბაძე და გრიგოლ ბოლქვაძე ხელმძღვანელობენ.

ფუგდიდი

რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს წლიურ გეგმის ჯადამეტებით მოკრიფონ 1000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.500 ტონა ციტრუსი. ვალდებულების უთუო შესრულებისათვის ბაღებსა და პლანტაციებში ამთავითვე ზორაციელდება დამატებითი ღონისძიებანი — სმენჩრის ლიკვიდაცია. იქ სადაც ახალი ნარგავებია, განსაკუთრებით ლიმონის ახალგაზრდა ნარგავების შეფუთვა და სათბურების მოწყობა ვერ მოასწრეს, ახლა სწრაფი ტემპით ასრულებენ ამ სამუშაოს.

ასე იქცევიან ანაკლიის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში, ჭაქვინჯის, ციაშის, კოლხიდის, ოდიშის კოლმეურნეობებში. ლიმონარიუმები დაათბუნეს, ათბობის საშუალებები უზრუნველყვეს, მალე დაიწყება ნარგავების შემობარვა და სასუქების შეტანა. აქ წინასწარ მოიმარაგეს საჭირო რაოდენობის ორგანული და მინერალური სასუქები.

სიმეჩხრის ლიკვიდაცია, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებები ხარისხოვანად ხორციელდება ჩაის პლანტაციებშიც. ამ სამუშაოებს ნარაზენის, ჯახათის, ინგირის, რუხის, ახალსოფლის კოლმეურნეობებში, ინგირის, ზედა ეწერის, დარჩილის საბჭოთა მეურნეობებში კომპლექსური მექანიზებული რგოლები ასრულებენ.

ბრიგადირი ლომინა

ბუბა

ბუბა ბალეტმეისტერ ბუბა ბერიძეს ბალეტ „ბაბანას“ ბალეტ „ბაბანას“ ბალეტ „ბაბანას“

13 იანვარი ● საკავშირო იუწყება

ინფორმაციები

ფაქტები • მოვლენები

განიარაღება დროის მოთხოვნაა

შორსმჭვრეტელური, დინამიკური პოლიტიკა

საზღვარგარეთის მახსობრივი ინფორმაციის საშუალებანი კვლავ ფართოდ განმარტავენ მ. ს. გორბაჩოვის წერილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხ. პერეს დე კუელიარისადმი, ამასთან ხაზს უსვამენ, რომ იგი მოწმობს ხანგრძლივ, პოლიტიკის სერიოზულ, რეალისტურ ხასიათს, პოლიტიკისა, რომელიც მთავარ ამოცანად ისახავს იხსნას კაცობრიობა ბირთვული ომის მომაკვდინებელი საფრთხისაგან.

სოფია. „შორსმჭვრეტელური, დინამიკური პოლიტიკა“ — ასეთი სათაურით აქვეყნებს კომენტარს ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო აღნიშნავს, რომ შარშან საბჭოთა კავშირმა მოგვცა ახალი სტილისა და იმ საერთაშორისო საქმეებისადმი მიდგომის ბრწყინვალე მაგალითი, რომლებიც ეხმიანება ყველა ხალხის ინტერესებს. ეჭვი არ არის, რომ 1986 წელმა ჩაიარა იმ საბჭოთა ინიციატივების ნიშნით, რომლებიც მიმართულია ბირთვული საშიშროების, გამაჯანსაღოს შეიარაღების წინააღმდეგ, მიზნად ისახავენ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წერილში, წერს ბულგარეთის მეორე გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“, აისახა მთელი გასუფლის რეალურ ლონისძიებათა განხორციელება.

გაზეთი აგრეთვე ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ წერილში მოწონებულია „ჰარარეს მოწოდება“, მაღალი შეფასება ეძლევა მიუმხრობლობის მოძრაობის ინიციატივებს, რომლებიც ითვალისწინებენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და ბირთვული იარაღის მოსპობას.

დელი. აქვეყნებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსს, ინდოეთის გაზეთი „პატრიოტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი მხარს უჭერს ბირთვული იარაღის არსებნალების ლიკვიდაციას არა იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისი უპირატესობა ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების დარგში. საბჭოთა ხელმძღვანელმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, წერს „პატრიოტი“, რომ სსრ კავშირმა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნებმა ჯერ კიდევ 1986 წლის ივნისში ბუდაპეშტის თათბირზე წამოაყენეს წინადადება ევროპაში, ატლანტიკიდან ურალამდე, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების კომპლექსური და ღრმა შემცირების შესახებ.

ტრიპოლი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დაგმო ამერიკის ადმინისტრაციის პოზიცია, რომელიც ფუშავს ქვეყნად მშვიდობის დამყარებისათვის, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტისათვის გამიზნულ საერთაშორისო მეცადინეობას, იტყობინება **ლიბიის ჯანას საინფორმაციო სააგენტო.** საბჭოთა ხელმძღვანელმა, განაგრძობს სააგენტო, ხაზი გაუსვა გასული წლის მანძილზე სსრ კავშირის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც ითვალისწინებენ საყოველთაო უშიშროების განმტკიცებას, უბირთვო მსოფლიოს შექმნასა და მიმდინარე საუკუნის დამლევამდე მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის ლიკვიდაციას.

დამასკო. სსრ კავშირის წინადადება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა მონაწილეობით ჩამოაყალიბოს მოსამზადებელი კომიტეტი, რათა მოაწყონ საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე, რეგიონში ყოვლისმომცველი და სამართლიანი მოწესრიგების მიღწევის გზაზე გადადგმული კონკრეტული ნაბიჯია, განუცხადა საკადესის კორესპონდენტს დამასკოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მასწავლებელმა **იბრაჰიმ ზაიმმა.**

თეთრი სახლის უპირსპექტივო საახლოაღმოსავლეთი კურსის ფონზე, აღნიშნა მან, პრინციპულად და გარკვევით ჩანს სსრ კავშირის პოზიცია, რომელიც ესწრაფვის მიაღწიოს არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებასა და ირან-ერაყის ომის შეწყვეტას. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა და უჭერს პალესტინის არაბი ხალხის ხელშეუვალი უფლებების სრულ და დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას, ახლო აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის მშვიდობის ზონად გადაქცევას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკას ფართოდ იწონებენ არაბი ხალხები, იგი შეესაბამება რეგიონსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშრობის ინტერესებს, ხაზგასმით აღნიშნა ი. ზაიმმა.

◆ ავღანეთი

თანხმობის დამყარების გზაზე

ჟენევა. ავღანეთის დედაქალაქში გაიმართა ქაბულის ეროვნული შერიგების საგანგებო კომისიის პირველი სხდომა. მის შემადგენლობაში არიან ეროვნული სამამულო ფრონტის აქტივისტები, ინტელიგენციის, სამლვდელოების, მუშების, მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლები. დასახულია ქვეყნის რევოლუციური ხელმძღვანელობის იმ კურსის განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისღვრის შეწყვეტასა და ეროვნული შერიგების მიღწევას.

პროვინციებიდან მოდის ცნობები, რომ ეწყობა გამოსვლები ამ ჰუმანური პოლიტიკური კურსის მხარდასაჭერად, სტიქიური კრებები და მიტინგები იმართება საწარმოებსა და დაწესებულებებში. ტომების მუდმივმა საკონსულტაციო ჯირგებმა ადგილებზე გაშალეს მუშაობა, რათა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სამშობლოში დაბრუნებულ თანამემამულეებს. როგორც ხაზგასმით აღნიშნა ავღანეთის ტომთა უმაღესი ჯირგის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მუჰამედ იბრაჰიმ ათაიმ, პუშტუნთა ტომების ბელადები და უხუცესები აქტიურად მონაწილეობენ დიალოგში იმათთან, ვინც წინათ მტრების პროპაგანდამ შეიყვანა შეცდომაში, აცნობენ მასებს ქვეყნის ხელმძღვანელობის მოწოდებას ეროვნული შერიგებისათვის.

ქაბულის პროვინციის შაქარდარის მაზრის სამღვდელოებას წარმომადგენლებმა აღნიშნეს ავღანეთის ხელმძღვანელობის იმ ახალი ნაბიჯის ჰუმანური ხასიათი, რომელიც გადაიდგა მთელი ავღანელი ხალხის ინტერესების შესაბამისად საერთო-ეროვნული მშვიდობისა და თანხმობის დამყარების გზაზე.

ფოტოფაქტი



ბალკნის პროვინციის ამ გლეხებმა (სურათზე) მიიღეს დოკუმენტები, რომლებიც მათ მიწის საკუთრების უფლებას ანიჭებს. გლეხებმა აღუთქვეს ავღანეთის მთავრობას, რომ ხელს შეუწყობენ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, პროგრესული ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას. სადღესასწაულო 8310 ათასზე მეტმა გლეხმა მიიღო მიწა სახელმწიფოსაგან უფასო ხარგებლობისათვის.

საკადესის ფოტო.

◆ აშშ

პენტაგონი ჩქარობს

მზადება სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ეტაპობრივი განლაგებისათვის

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კასპარ უაინბერგერმა განაცხადა, რომ რეიგანის ადმინისტრაცია მზად არის შეუდგეს კოსმოსური შეიარაღების ეტაპობრივ განლაგებას მისი შექმნის კვალობაზე.

ეი-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში პენტაგონის შეფმა აღნიშნა, რომ „მოხარული ვიქნები, რაც უფრო სწრაფად“ განლაგებენ კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემის კომპონენტებს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის „პირველი ფაზის“ ფარგლებში. მან განაცხადა: ამისათვის მოლიანად უნდა დაკმაყოფილნონ პენტაგონის მოთხოვნა, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისთვის გამოიყოს თითქმის 6 მილიარდი დოლარი მიმდინარე საფინანსო წლის დამატებითი ასიგნებებისა და 1988 საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანახმად. კონგრესისადმი თავდაცვის მინისტრის ყოველწლიურ მოხსენებაში „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას ეწოდება პენტაგონის „ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი“, რომელზეც ადმინისტრაცია „არასდროს ხელს არ აიღებს“. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 1989 წელს ამერიკის შეერთებული შტატები დაიწყებს თანამგზავრსწინააღმდეგო შეიარაღების სერიულ წარმოებას.

◆ ეგვიპტე

ქარტია ქაღაში შემვიდა

კაირო. **აფრიკელთა ერთიანობის ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნის რატიფიკაციის შემდეგ ძალაში შევიდა აფრიკის ადამიანისა და ხალხთა უფლებების ქარტია.** ეს ნათქვამია აფრიკელ იურისტთა ასოციაციის აქ გავრცელებულ განცხადებაში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ქარტია კონტინენტის ყველა მცხოვრებს ანიჭებს სამართლიანობის, თანასწორობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის უფლებას რასისა და კანის ფერის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად.

თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა ბუნდესტაგის მორიგ არჩევნებამდე — 25 იანვარს პასუხი გაეცემა კითხვას, თუ დასავლეთ გერმანიის პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური დაჯგუფებებიდან რომელი მიიღებს უფლებას მართოს ქვეყანა მომავალი ოთხი წლით: ამჟამად ხელისუფლების სათავეში მყოფი კონსერვატიულ-ლიბერალური კოალიცია, რომელშიც შედიან მსხვილი კაპიტალის პარტიები — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, აგრეთვე ბურჟუაზიულ-ლიბერალური თავისუფალი დემოკრატიული პარტია, თუ ახლანდელი ოპოზიცია (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და „მწვანეთა“ პარტია).

როგორია პოლიტიკური ვითარება არჩევნების წინ? ამის თაობაზეა ხაუბარი საკადესის კორესპონდენტის ვ. სეროვის ბონდან გამოგზავნილ წერილში, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

გფრ:

ბრძოლა ხმებისათვის რაინზე

ბუნდესტაგის არჩევნების წინ

წინასწარვე უნდა ითქვას: მაშინ, როცა მმართველი ბანაკის პარტიები, მათ შორის არსებული უთანხმოებების მიუხედავად, მზად არიან გამარჯვების შემთხვევაში განაგრძონ კოალიციური თანამშრომლობა, ოპოზიციურ პარტიებს შორის ასეთი თანხმობა არ არის. „ამომრჩევლებისადმი წერილში“, რომელიც „მწვანეთა“ პარტიის არჩევნების წინა ყრილობაზე ხმების უმრავლესობით მიიღეს, აღნიშნულია, რომ „ბონში ხელისუფლების შეცვლა ახლანდელ სიტუაციაში შესაძლებელია მხოლოდ „მწვანეებსა“ და სოციალ-დემოკრატებს შორის თანამშრომლობის პირობებში“, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა დღემდე უარყოფს ასეთ თანამშრომლობას, რაც ამცირებს ოპოზიციის შანსს მოხდეს ხელისუფლების სათავეში.

...ლამაზად გაფორმებულ საარჩევნო პლაკატიდან კარგად ჩაცმული გოგონა იღიმება. თოვლის ფიფქები ეცემა მის მშვენიერ სახეს. პლაკატზე წარწერილია: „ბედნიერი მომავალი“, და იქვე გვერდით: „ქდკ“. „უზრუნველყოფილი მომავალი, სტაბილური ფასები, საიმედო პენსია“ — ჰპირდება ამომრჩევლებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წამყვანი მმართველი პარტია. ნაძალადევი ოპტიმიზმით გაჟღენთილი ასეთი პლაკატები „შესაკერიან“ დასავლეთ გერმანიის ქუჩებში გამვლელებს. მაგრამ ბონის ქუჩებში არის სხვა ხასიათის პლაკატებიც (ისინი გააკრა წამყვანმა ოპოზიციურმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ), რომლებზეც წარწერილია მოწოდებები: „ვარსკვლავეთის ომების ნაცვლად, მშვიდობა დედამიწაზე“, „ვისაც მშვიდობა, განიარაღება და დაძაბულობის შენელება სურს, ხმა უნდა მისცეს . სოციალ-დემოკრატებს“.

მეტოქე პარტიების შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული პლაკატები ასახავენ მათს განსხვავებულ საარჩევნო ტაქტიკას. თუ ქრისტიანი დემოკრატები აუოროდღეს უწინარესად თავიანთი პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებს უთმობენ, სოციალ-დემოკრატები პირველ პლანზე აყენებენ საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს. ერთსაც და მეორესაც თავისი საფუძველი აქვს.

ქვეყანაში უკვე კარგა ხანია კარგი ეკონომიკური კონიუნქტურა შეინიშნება, რაც ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტიისთვის კეთილსასურველი ფაქტორია. ასეთი კონიუნქტურის წყალობით ინფლაცია საკმაოდ დაბალ დონეზეა, ხოლო ექსპორტის მოცულობით გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ პირველ ადგილზე გადინაცვლა კაპიტალისტურ სამყაროში. სავსებით გასაგებია, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი ცდილობს ყოველივე ეს თავის აქტივში ჩაიწეროს. შეგახსენებთ, რომ ოთხი წლის წინათ სწორედ ეკონომიკურმა დაქვეითებამ და მისმა შედეგებმა შეასრულა გადამწყვეტი როლი ხელისუფლებიდან სოციალ-დემოკრატების გადაყენებაში.

ახლა კი ეკონომიკური კონიუნქტურის ქარი მმართველი კოალიციის აფრას უბერავს, თუმცა საერთო სურათი არც ისეთი სახარბიელოა, როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ხელმძღვანელები ხატავენ. რო მილიონზე მეტი უმუშევარი, მეტალურგიული, ქვანახშირმომპოვებელი და გემთსაშენებელი მრეწველობის კრიზისი, გაკოტრებათა სარეკორდო რიცხვი, უკმაყოფილო გლეხები, რომლებიც ვერ უძლებენ აგროსამრეწველო მონოპოლიებთან კონკურენციას, დაუსაქმებელი და ცხოვრების პერსპექტივებზე მოკლებული ახალგაზრდობა, და ბოლოს, გარემოს მზარდი გაჭუჭყიანება, რომლის უახლესი მაგალითია ქემიური კონცერნების ნარჩენებით რაინის უპრეცედენტო მოწამვლა.

ცხადია, საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ოპოზიცია ბრძოლას უცხადებს მმართველ პარტიებს სოციალურ-ეკონომიკურ ფრონტზეც. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეტევის მთავარი მიმართულება მაინც მთავრობის ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების შეწყვეტა და არსებულის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან გატანა; ცენტრალურ ევროპაში ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნა. ამ პროგრამას, ისევე როგორც სოციალ-დემოკრატთა მრავალ საგარეო-პოლიტიკურ მოთხოვნას (მაგალითად, ახლო სამუშაო ადგილების შექმნა) მხარს უჭერენ მოსახლეობის ფართო ფენები.

მაგრამ არჩევნებში პარტიათა შანსების შეფასებისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უდიდესი ნაწილი მმართველი ბურჟუაზიული პარტიების კონტროლს ექვემდებარება. ეს მათ საშუალებას აძლევს მთელი თავიანთი პროპაგანდა პოლიტიკური მეტოქეების ყველაზე სუსტი მხარეების წინააღმდეგ წარმართონ, ამასთან არაფერს თაკილობენ და ყოველგვარ ბინძურ მეთოდს მიმართავენ.

ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ აირჩია სოციალ-დემოკრატიული პარტია და „მწვანეთა“ პარტიის თანამშრომლობის პერსპექტივა ბუნდესტაგის არჩევნებში. მათ მიერ ხმების უმრავლესობის მიღების შემთხვევაში. ბურჟუაზიული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებმაც „მწვანეთა“ წინააღმდეგ აღვირახსნილი ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღეს და მათ „ტერორისტების“, „ცივილიზაციის საფუძვლების დამამხობელთა“ იარაღყი მიაწვეს, ამომრჩევლს „წითელ-მწვანე კოალიციის“ შექმნის „საფრთხით“ აშინებენ, რომელიც „ქვეყანას საგრძნობლად უკან დასწევსო“. ამასთან, ცხადია, არცთუ უკანასკნელ როლს ასრულებენ ანტიკომუნისტური, ანტისაბჭოური მოტივები.

გერმანელთა კომპარტია, რომელიც მხარს უჭერს დემოკრატიული ძალების ფართო კავშირის შექმნას, არჩევნებში მონაწილეობს „მშვიდობის მხარდამჭერთა სიის“ ორგანიზაციის ფარგლებში. „ჩვენ გვინდა ხელი შეუწყოთ იმას, — წერს გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარე ჰ. მისი ჟურნალ „მარქსისტიშე ბლეტერში“, — რომ მემარჯვენე ყაიდის პოლიტიკა სხვა პოლიტიკით ვეცვალოთ. ჩვენ გვინდა რესპუბლიკის მომავალი მთავრობა ახორციელებდეს აქტიურ სამშვიდობო პოლიტიკას, რომ ჩვენს ქვეყანაში მეტი სოციალური სამართლიანობა და დემოკრატია სუფევდეს, გაუმჯობესდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების პირობები“.

◆ შვეიცარია

მიზანი— კონვენციის შემუშავება

ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკების მორიგი რაუნდი

ჟენევა. **აქ დაიწყო ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ მრავალმხრივი მოლაპარაკების მორიგი რაუნდი. იგი მიმდინარეობს განიარაღების კონფერენციის ფარგლებში. მოლაპარაკების მიზანია შეიმუშაოს საერთაშორისო კონვენცია ქიმიური იარაღისა და მისი წარმოების სამრეწველო ბაზის სრული ლიკვიდაციის შესახებ.**

კონფერენციის წრეებში მიაჩნიათ, რომ მოლაპარაკების დამამთავრებელი ეტაპი დაუდგა. ეს შესაძლებელი გახდა, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის დიდი ინიციატივების მეოხებით, რომლებიც ავითარებენ მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადების პრინციპულ დებულებებს. მათ შორის არის წინადადება ქიმიური იარაღის მარაგისა და მისი წარმოების ბაზის ლიკვიდაციის შესახებ და სამოქალაქო ქიმიურ მრეწველობაში ამ იარაღის წარმოების აკრძალვის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. საბჭოთა კავშირმა წამოაყენა აგრეთვე შორს გამიზნული წინადადებანი ქიმიური იარაღის აკრძალვის კონტროლის ყველა ასპექტის მიხედვით, ადგილზე ინსპექციების ჩათვლით.

კონფერენციის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის საქმიანი, კონსტრუქციული პოზიცია, მისი მზაღაყოფნა მთლიანად გათვალისწინოს ყველა სახელმწიფოს ინტერესები, მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების კარგ საფუძველს ქმნის.

ინფორმაციული ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

კანონზომიერება

უბედურება რომ დატრიალდება ხოლმე, მერე ხშირად ამბობენ — მისი თავიდან აცილება შეიძლებოდაო. და იწყება ათასგვარი ფიქრი — „ასე რომ ყოფილიყო“, „ასე რომ მომხდარიყო“. მაგრამ რამ შეუშალა ხელი იმას, რომ ეს ყველაფერი დროზე მომხდარიყო? როგორც წესი, არაფერმა: ფაქტის სათავეები წინასწარ ჩნდება. მაგრამ ეხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ფაქტი მოხდება, ჩავწვდებით ხოლმე მის კანონზომიერებას.

...„მოსკვიჩი“ სველ ასფალტზე მიქროდა. ვერ იტყვი, შემხვედრი „ლაზიც“ ნელა მოდიოდაო. მეტად გვიან გაისმა მუხრუჭების ხრჭიალი და - სველმა საფარმა თავისი ბოროტი საქმე ქნა — მსუბუქი მანქანა პირდაპირ ავტობუსს შეახეთქა. მანქანაში მსხდომი მძღოლისა და მგზავრის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ძიებას კიდევ მოუწევს დააზუსტოს თბილის-ბაკურიანის ტრასის 54-ე კილომეტრზე მომხდარი ავარიის წვრილმანები. მაგრამ ახლაც აშკარაა მისი კანონზომიერება: იმითაც, თუ ვინ აღმოჩნდა შეტაკების მსხვერპლი, და იმითაც, სად მოხდა იგი. რაც უნდა მწარე იყოს ამის აღიარება, დაღუპულებმა თავად „გამოუჭედეს“ თავიანთი უბედურება, რასაც აგრეთვე ხელი შეუწყო ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისადმი საგარეჯოს რაიონისათვის დამახასიათებელმა მიდგომამ, როცა მთავარი ანბანურ ჭეშმარიტებათა არსი კი არა, არამედ ფორმაა. სწორედ მიდგომით დავიწყებთ ახლა, მომხდარი ფაქტიდან თვეზე ცოტა ხნის წინანდელი ამბებით.

იმ დღეს, როცა საგარეჯოში ჩავედი, პირველი თოვლი მოვიდა, ირგვლივ ყველაფერი თეთრად გადაპენტა. და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ მიდამოების პატრიარქალური სიმშვიდე რაიმეს შეეძლო დაერღვია. მხოლოდ თავიდან არ ამომდიოდა ანგარიშების შესაბამისი გრაფები, რომლებშიც აღნიშნული იყო: რაიონში ხანმოკლე პერიოდში ლოთობის ნიადაგზე სამი მკვლელობა მოხდა.

— ასეთ რამეს არაფრით არ ველოდიო, — ხმადაბლა თქვა რაიკომსკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მათიაშვილმა, რომელიც ამავე დროს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოსთან არსებულ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიას მეთაურობს. — სხვათა შორის, მიზეზების ანალიზმა ცხადყო, რომ უბედური შემთხვევები მნიშვნელოვანწილად ჩვენი გულარხეინობის შედეგი გამოდგა. ცოდვა გამხელილი სჯობს, და, ვფიქრობდით, რაკი რაიონში ოდითგანვე სიმშვიდე სუფევს, აწიც არაფერი შეიძლება მოხდესთქო.

როგორც გაირკვა, შეიძლება. და არცთუ საჯარბიელო იყო ამ საქმის ვეფარება. მაგალითად, შარშან სისხლის სამართლის სამძებრო თანამშრომლების მიერ გამოაშკარავებული „პრაქტიკულად ყოველი მეოთხე დანაშაული ალკოჰოლის ზემოქმედებით იყო ჩადენილი. მის წინააღმდეგ ბრძოლაში საკმაოზე მეტი შეცდომა იყო დაშვებული, და სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპული შეფასება მისცა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობაში დაშვებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. რაიკომსა და რაიაღმასკომს წინადადება მიეცათ წლის დამლეგამდე ჯეროვანი წესრიგი დაემყარებინათ საქმიანობის ამ სფეროში.

— ხელახლა შევადგინეთ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმები, — თქვა შემდეგ ვ. მათიაშვილმა, — ვეცადეთ, რომ იტყვიან, საქმეში მოგვიქცია გამოუყენებელი რეზერვები. და უწინარეს ყოვლისა დასახმარებლად მოგვეხმო საზოგადოებრიობა.

მაგიდაზე აწყვია მანკიერების აღმოფხვრისათვის, ცხოვრების ფხიზელი წესის პროპაგანდისათვის გამიზნული ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელების დამადასტურებელი სხვადასხვა დოკუმენტი. პატივისცემას იწვევდა აგრეთვე შინაგან საქმეთა ადგილობრივი რაიონული განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ მოყვანილი ციფრები — საზოგადოებრივი წესრიგის გამოვლენილი დარღვევების, გადახდილი ჯარიმების რიცხვი, პროფილაქტიკური რეიდების რაოდენობა. ბოლოს, გვარწმუნებდნენ საუბრის ვონაწილენი, დამყარდა კონტაქტი შრომითს კოლექტივებთან, სადაც მუშაობენ სმის მოყვარულნი — იქ სისტემატურად იგზავნება მოთხოვნები — აცნობონ ქეიფის მოყვარულების მომართ განხორციელებული ღონისძიებები.

მართლაც, წლის დამლეგისათვის რაიონში ოპერატიული ვითარება საგრძნობლად გაჯანსაღდა. კერძოდ, სექტემბრიდან აქ არ აღრიცხულა სამთვრალეში ჩადგენილი არც ერთი დანაშაული. მაგრამ მაინც არაფრით არ იფანტებოდა ეჭვი, რომ ყველაფერი ამით არ დამთავრდებოდა. თითქოსდა, არც იყო საფუძველი ასეთი ეჭვისათვის (ისევ და ისევ ანგარიშებით თუ ვიმსჯელებთ). მხოლოდ ერთი რამ: მოჩვენებითი აქტიურობის მიღმა იმათ შორის, ვისზეც საგარეჯოში დამოკიდებული იყო სოციალური ბოროტების აღკვეთა, ცოტა ვინმემ თუ მიიღო თავისი მისია არა მარტო გონებით, არამედ გულითაც.

დარწმუნებული ვარ: რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების ავტორიტეტი, რომლებმაც ვერ შეძლეს სპირტიანი სასმელების ზეგავლენის ხმარებისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნა, აბსოლუტური არ არის. აბსოლუტური არ არის იმიტომ, რომ ათასგვარი თითბირები, განსჯა-განხილვა, ლოთების და მათთან ერთად მათი უშალო უფროსებისა „ხალჩაზე“ გამოყვანა უფრო თვით გამომწვევებს აკმაყოფილებდათ — აქაოდა, ახლა შეგვიძლია ანგარიში ჩავაბარეთო. ბრალეულებმა კი იცოდნენ — გვისაყვედურებენ, ილაპარაკებენ, დაგვემუქრებიან, შეიძლება საყვედურიც გამოგვიცხადონ, მერე კი სხვა გადაუდებელი საქმეები ყველაფერს დავიწყებთო.

არადა, ხომ სწორი გამოდგნენ ისინი, ვინც ასე ფიქრობდა. გმართლდა მათი იმედები. რომ არ გვისაყვედურონ ზოგადი საუბრისათვის, დროა მაგალითებზე გადავიდეთ. სექტემბერში რაიაღმასკომის კომისიამ თოხლიაურის მეველფეხეობის საბჭოთა მეურნეობისა და „საქხილბოსტნეულრეგიონის“ ტრესტის № 1 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ადმინისტრაციას, სადაც ძმები ა. და ი. სარჭიანები მუშაობენ, დაავალა ათ დღეში მოეხსენებინა მათ მიერ სიმთვრალეში ცაზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტის განხილვის შედეგები. ვ. მათიაშვილთან ჩვენი საუბარი ორი თვის შემდეგ გაიმართა.

— ნება მიბოძეთ, თვალი გადავავლო პასუხს.

— ახლავე, მოგვართმევენ. — კომისიის თავმჯდომარემ ჯერ გადათვალიერა საპირო საქაღალდეები, შემდეგ სულ უფრო ნელა ფურცლავდა ქაღალდებს, მაგრამ პასუხი ვერა და ვერ იპოვა. იძულებული გახდა აშკარად გაოცებულ ელიარებინა, რომ საკუთარი ხელმოწერით მისი მრისხანე განკარგულება შრომითს კოლექტივებში უბრალოდ უგულებელყვეს.

— აქ რაღაც გაუგებრობაა, — წუხდა რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. უთუოდ გავერკვევი.

განა ღირდა კი საამისოდ კორესპონდენტის ვიზიტისათვის იცადათ?

მილიციაც გზავნის თავის შეტყობინებებს მოთხოვნით, რომ ათ დღეში აცნობონ სიმთვრალის გამო მომხდარ შემთხვევათა განხილვის შედეგები. მისი თანამშრომლები არც განმეორებით შეხსენებას იზარებენ, როგორც მაგრი სსმელების თაყვანისმცემლის „ჯამალაშვილის შემთხვევაში მოხდა. და მაინც ამ უკანასკნელის სამუშაო ადგილიდან — გიორგიწმინდის მეფეხეობის საბჭოთა მეურნეობიდან ვერავითარ პასუხს ვერ ელირსნენ. ჩვენ ვიყავით გიორგიწმინდაში შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილესთან რ. ტაბატაძესთან ერთად. მეურნეობის დირექციის წარმომადგენლები ვერ ვნახეთ, სამაგიეროდ, შევეტყვეთ, რომ სხვა აქაურ თანამშრომლებს არაფერი გუგეიათ ჯამალაშვილის მოქმედების შესახებ. თუმცა, შემოსული კორესპონდენციის ჟურნალში ჩაწერილია, რომ მილიციის განმეორებითი შეტყობინება გადაეცა პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს. გადაეცა ჩვენს აქ გამოჩენამდე თვენახევრით ადრე...

რა დამოკიდებულება აქვს ყოველივე ამას თბილის-ბაკურიანის გზაზე დატრიალებულ ტრაგედიასთან? დამოკიდებულება, ალბათ უშუალოა, ვინაიდან ისეთი „საგულისხმო მითითებების“ დასაშვებობამ, რომელიც პირადი მაგალითით არ ჯერის განმტკიცებული, ზოგიერთ ხელმძღვანელს განუკითხაობის გრძნობა გაუღვივა. სხვაგვარად ის „მოსკვიჩი“ საერთოდ არ გავიდოდა მაშინ ტრასაზე.

...საგარეჯოს შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი ნ. ბუზარიაშვილი და რაიონული ფინგანყოფილების უფროსი ვ. მარხვაშვილი პირველი ფებერვლის 23 საათიდან უსხდნენ სუფრას მომდევნო დღის დილის 4 საათამდე. რვა საათის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და სადღაც გაემგზავრნენ ბუზარიაშვილის სამსახურებრივი მანქანით. უკანასკნელად ისინი საღამოს ნახეს, როცა შრომა-გასწორების დაწესებულებაში მივიდნენ წესრიგი შესამოწმებლად (ზედ ახალი წლის წინ მარხვაშვილი კოლონიის სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს). ახლა თვითმხილველები ამტკიცებენ, რაიონის ხელმძღვანელობამ განკარგულება გასცა, რომ ამგვარი შემოწმებები სადღესასწაულო დღეებში ყველგან მოწყობილიყო. ეჭვს ასეც იყო; მაგრამ ამ შემოწმებების მოწყობა უფრო შესაფერის მდგომარეობაში უმყობინებოდა. ერთ საათში ფარი მოხდა. ექსპერტიზამ „მოსკვიჩის“ მძღოლს ძლიერი სიმთვრალე დაუდგინა, მგზავრს — საშუალო.

მხოლოდ სამსახურებრივი გამოძიება გაარკვევს ბოლომდე, რატომ მისცა თავის თავს შრომა-გასწორებითი დაწესებულების უფროსმა ნება საკუთარი ხელით, თანაც ნაქეფარს, ემართა მისთვის მიჩენილი ავტომობილი, თუმცა კი შტატით ეს სამე მოფერს აკისრია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მას ეჭვიც არ შეპპარვია, ვინმე გამაჩერებსო. ასეც მოხდა. უფრო მეტიც, ერთი მათგანი, ვინც მოვალე იყო შეეჩერებინა, გოსს მოეყვანა დამრღვევი, ანუ რაიონული ფინგანყოფილების უფროსი, თვითონაც ნასვამი ჩაუჯდა მას მანქანაში.

ნიშანდობლივი დეტალია: ისინი, ვინც შეხვედრიან 2 იანვარს დაღუპულებს, აღბობენ, ვერ შეატყვეთ, რომ მთვრალები იყვნენო.

ვერ შეატყვეს? თუ არც უცდიათ შეტყობა? არ ჩოუთვლიათ თავიანთ მოვალეობად დაეწესებათ?

...საგარეჯოს რაიონის პროკურორი შ. ,გოგოლიძე შეშფოთებას ვერ მალავდა:

— რაღას, არ ვშვრებით, და მაინც, უკვე 3 იანვარს ისევ მოხდა

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

ცნობილი გახდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატთა სახელები, რომლითაც ეს საპატიო წოდება მიენიჭათ გამოჩენილი ქართველი რეჟისორის სახელობის პრემიის ერთადერთ მოდუმოგმქმედი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

გასული ორი სეზონის განმავლობაში საუკეთესო თეატრალური და თეორიული ნაშუშევრებისათვის პრემიით დაჯილდოდნენ: რეჟისორი ნუგზარ **ლორთქიფანიძე** — კინომსახობის თეატრში სპექტაკლის „წუთისოფელი ასეა“ დადგმისათვის, თეატმცოდნე ნოდარ **გურაბანიძე** — „გამომქმედობა „ხელოვნების“ ფურცლებზე გამოშვებული შრომისათვის „გამარჯვების გზით“.

კონკურსის გამარჯვებულნი

„ქართული თეატრის დღეს ცნობილი გახდა **ყოველწლიური** კონკურსის **„თანამედროვეობა და თეატრის“ გამარჯვებულთა სახელები.** ეს პატივი ხვდათ: დრამატურგ შადიმან **შამანაძეს** პიესისათვის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძალში“, რომელიც დაიდგა რუსულ დრამდრამიან თეატრში; საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **შალვა გაფრინდელს** — მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში ნ. დუმბაძის „კუკარაჩას“ დადგმისათვის; საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორ გიორგი **თოდაძეს,** თბილისის მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში შ. შამანაძის პიესის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძალში“ დადგმისათვის.

პრემიებად **დაჯილდოდნენ** სსრკ კავშირის სახალხო არტისტი ნატალია **ბურმისტროვა** — თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სპექტაკლში „შოლომ ალეიხემის ბენა №40“ როზას როლის შესრულებისათვის, მსახიობი შოთა **ყრუაშვილი** — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლ „კუკარაჩაში“ აპოს როლის შესრულებისათვის, ახალგაზრდა მსახიობი ნინო **ვაჩნაძე** — თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლში „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძალში“ თიკას როლის შესრულებისათვის, მსახიობი თამარ **ბამულაშვილი** — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლ „კუკარაჩაში“ ისხაკას როლის შესრულებისათვის.

კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ აგრეთვე საქართველოს დამსახურებული მხატვარი შოთა **ბუცაშვილი** (სიკვდილის შემდეგ) — გორის დრამატულ თეატრში სპექტაკლის „თმას დაუბრეწდა მთიელის“ სცენოგრაფიისათვის და ახალგაზრდა თეატრმცოდნე ანა **ჭავჭავაძე** გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებული რეცენზიისათვის „ბარტონი ყველას წინაშე“. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება იმის შესახებ, რომ უშვილობის გადასახადისაგან განთავისუფლდნენ სსრ კავშირის დაქორწინებული მოქალაქენი ქორწინების რეგისტრაციის დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

ბრძანებულება ამოქმედდება 1987 წლის 1 თებერვლიდან.

ამასთან ერთად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება 1987 წლის 1 თებერვლიდან გაუქმონ ფულადი სახსრების გადახდა საქორწინო ბეჭდების გაძვირების გამო კომპენსაციის სახით. იმ პირებისათვის, რომლებიც პირველად ქორწინდებიან.

ამით მიღებული სახსრები მოხმარდება იმ ხარჯების დაფარვას, რომლებიც დაკავშირებულია ახლად დაქორწინებულების გადასახდელ გაუქმებასთან.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა ამხ. ასლან ბერაგიმის ძე **აბაშიძე** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველ მოადგილედ და გათავისუფლა იგი რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

ქართული თეატრის რომანტიკოსი

სანდრო ახმეტელის ფენომენის არსი ქართველი ხალხის არტისტული გენის საიდუმლოებათა ამოხსნაში ძევს. მისი ხელოვნება ისეთივე რთული, სიღრმისეული და ყოვლისმომცველია, როგორც ქართველი ხალხის არტისტიზმი. ახმეტელმა იპოვა სათავეები ქართველი ხალხის თეატრალობისა. მან ზუსტად განსაზღვრა თეატრის მისია ქართველი ხალხის განახლების ისტორიულ პროცესში. მისი აზროვნების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის სისტემამ, ქართველი ხალხის ისტორიისადმი გულმხურვალე დამოკიდებულებამ, თავისი ხალხის ყოფის ღრმა ცოდნამ, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების დანახვისა და გათავისების ნიჭმა, ინტუიციამ — ყველაფერმა, რაც აყალიბებდა ახმეტელის შემოქმედებით სახეს, იგი მსოფლიოს თეატრალური აზროვნების სისტემაში წარმოაჩინა როგორც ღრმად ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის სინთეზი. მას თავისი თეატრის „ცხოველი აქტიორული გენიალობა არ გამოუწვევია ძალდატანებით ევროპის თეატრალურ კულტურიდან“ (ანატოლი ლუნაჩარსკი), იგი აიღო თავისი ხალხის ბუნებიდან. ქართველი ხალხის არტისტიზმი კი გამოვლინდა არა მარტო უძველეს საზეიმო სანახაობით ფორმებში, მის ღრმა დრამატულ და სოციალურ ბუნებაში, ფოლკლორულ მოტივებში, სიმღერებსა და ცეკვებში, არამედ პლასტიკასა და რიტმთან, ფიზიკურ სილამაზესა და ტემპერამენტთან, თბილ და მოქნილ ბგერებთან ერთად მთლიანობაში.

სანდრო ახმეტელი პეტერბურგში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლასთან ერთად ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, მისი სტატიები მოიცავდა პოლიტიკის, ეკონომიკის, ლიტერატურის, თეატრის ფართო სფეროს. დაფიქრებამ შრომამ, ფართო საზოგადოებრივმა ინტერესმა, მოქალაქეობრივმა აქტიურობამ იგი თანდათან შეამზადა დიდ ასპარეზზე წარმოსაჩენად. თანდათან გამოიკვეთა მისი თეატრალური თვალსაწიერი. თეატრის გზით უნდოდა გაეკეთებინა ყველაფერი, რაზეც იგი ოცნებობდა. ბევრს, მეტისმეტად ბევრს მოითხოვდა თეატრისაგან. მისი მაქსიმალიზმი წარმოსდგებოდა ქართველი ხალხის არტისტული ბუნებისადმი რწმენით, რუსული და დასავლეთევროპული თეატრების მიმდინარეობათა ცოდნით, ქართული თეატრის დიდი პოტენციური შესაძლებლობის იმედით. ქართული ლიტერატურული სახეები შთაგონებდნენ სცენაზე ეხილა ტარიელები და ავთანდილები. იგი იყო თავისი თეატრის ესთეტიკური იდეალი. ძლიერსა და ჰარმონიულ ზასიათებში ხედავდა „რაინდული რომანტიზმის“ ქართულ ბუნებას. მიაჩნდა, რომ ხალხის ათასი საუკუნის თეატრში ღრმად არ იგრძნობოდა. ამიტომ შინაგანი მონოლოგივით ისმოდა მისი სიტყვები: „შეიძლება იმის აღიარება, რომ ქართულ თეატრში, მხოლოდ იქ, ქართულ სცენაზე, ჰპოვებთ თქვენს გულისცემას და სულისკვეთებას? უწოდებთ თქვენ ჩვენს თეატრს იმ ტაძარს, სადაც ერი ხარობს, სადაც ერი იტანჯება თავის საკუთარი ფორმით?“ „შეგიძლიათ მიმითითოთ ისეთ დრამაზე, სადაც ბრძოლით აღელვებული ტალღები ნეტარების ისრებით ესობოდეს თქვენს ბუნებას, ზნეს და ჩვეულებას. შეგვიძლია ჩვენ ვიპოვოთ ქართულ სცენაზე უმაღლესი ფორმა ჩვენი სულიერი ლტოლვილებისა. შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი თეატრის კულტურით, როგორც უმაღლესი კულტურით ჩვენი ერისა?“.

ამ მტანჯველ კითხვებზე პასუხს ახმეტელი მომავლის იმედში ხედავდა: „აღდგება ერი, აღდგება თვით თეატრიც — სპეტაკი ვით ქართული სული“.

სანდრო ახმეტელი მომზადებული შეხვდა ქართველი ხალხის ახალი ისტორიული ეპოქის დაწყებას. მას ჰქონდა კარგი ჰუმანიტარული განათლება, პოლიტიკური ბრძოლების გამოცდილება, რუსული და დასავლეთევროპული თეატრების ცოდნა. პირველივე სპექტაკლები დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და ს. შაწშიაშვილის „ბერდო ზმანია“, მიუხედავად მათი ეანრული და სტილური სხვადასხვაობისა, უკვე ავლენდნენ რეჟისორის თვითმყოფად ხასიათს, მხატვრული აზროვნების ფართო თვალსაწიერს, მის ღრმა კავშირს იმ ბრძოლასთან, რომელიც მსოფლიოს თეატრებში მიმდინარეობდა ახმეტელი ამბობდა: „ჩვენ მოვდიოდით, „ლამარადან“ დაწყებული, „ანზორის“, „თეთნულდის“ და გათავებული „ყაჩაღების“ გზით. ნათელი უნდა გახდეს მთელი ჩვენ მიერ განვლილი გზა, რომლითაც დამთავრებულია თვალსაჩინო საფეხური“. იგი მას სიჭაბუკის პერიოდს უწოდებდა. იყო სილამაზის, ვნების, მძაფრი აზროვნების, „გახელებული თეატრალობის“ სიჭაბუკე! მის შემდეგ იწყებოდა ახალი გზების ძიება ილია ჭავჭავაძისა და დავით კლდიაშვილის გმირებთან შესახვედრად, დაუსრულებლობის გრძნობა ამძაფრებს ახმეტელის შემოქმედებისადმი ჩვენს ინტერესს, აცოცხლებს ფიქრსა და ფანტაზიას.

ახმეტელის თეატრის გმირები რწმენის, გულწრფელი განცდის ადამიანები იყვნენ. რწმენის თეატრს მაყურებელიც რწმენითა და იმედით უყურებდა. ახმეტელმა შექმნა თანამოაზრეობის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკური თეატრი. თითქმის ყველა სპექტაკლი გამოხატავდა რევოლუციურ იდეებს, მაგრამ ეს იდეები თავის განმაახლებელ ძალას ავლენდნენ სხვადასხვა ფორმით. ბ. ლავრენიევის „რღვევაში“ მეზღვაურთა რევოლუციური ენთუზიაზმი, გოდუნის ბრძოლა ახალი იდეების გამარჯვებისათვის ღრმად იკრებოდა ბერსენეევის სულში და იწვევდა შინაგან რღვევას. თანდათან ყალიბდებოდა ახლებური აზროვნება. ა. ხორავას ბერსენევის სახე გმირულისა და ფსიქოლოგიურის სინთეზის ნიმუში იყო. ახმეტელის პოლიტიკურ თეატრში ერთმანეთს ავსებდა გმირისა და მასის ურთიერთკავშირი, მათი შეპირისპირება, წინააღმდეგობათა დაძლევა და მთლიანობის ძიდწეკა — ეს რევოლუციური თვითგანახლების პროცესიც იყო. ახმეტელის შემოქმედების საწყის პერიოდშივე, სიმბოლისტურ და ექსპრესიონისტულ ნაწარმოებებში („ბერდო ზმანია“, „ლატავრა“, „შპიგელმენში“, სადაც მთავარ როლებში გამოდიოდნენ ახალგაზრდა მსახიობები — ა. ხორავა, უ. ჩხეიძე, ვ. ახჯაფარიძე, ა. ვასაძე, თ. ჭავჭავაძე, თ. წულუკიძე, შ. ღამბაშიძე და სხვები) ახმეტელი ეძებდა პროტესტანტი, არსებულის წინააღმდეგ განწყობილი გმირის სახეს. ა. გლებოვის „ზაგმუკში“ უ. ჩხეიძის მონათა მეთაური და „რღვევაში“ გოდუნი, ა. ხორავას ბერსენეევი, ანზორი, კარლ მოორი, ა. ვასაძის და ვ. გოძიაშვილის ახმა, თ. წულუკიძის ლამარა, გ. დავითაშვილის მინდია და სხვები იყვნენ ზნეობრივი გმირები. დიდი არტისტული ოსტატობით შექმნილი სახეები წარმოადგენდნენ ახმეტელის გმირული თეატრის უმნიშვნელოვანეს ძალას. მათ ხმას უსმენდა ხალხი. ხშირად ღია სოციალურ და პოლიტიკურ კოლიზიებს ცვლიდა გმირის შინაგან სამყაროში გადატანილი კონფლიქტები, „ანზორის“, „რღვევის“ რევოლუციური ენთუზიაზმის გვერდით იყო „ლამარა“, სადაც ადამიანის გარდაქმნა ხდებოდა შიგნით, ფსიქოლოგიურ სამყაროში. მინდიას ბრძოლა სისხლის აღების ათასწლოვანი ტრადიციის წინააღმდეგ, მის მიერ მოპოვებული გამარჯვება, თ. წულუკიძის ლამარას ღვთაებრივი სიყვარული და ტრაგიკული დასასრული ისეთივე ძალისა და მასშტაბის რევოლუციური გარდაქმნა იყო, როგორც ეს ხდებოდა „ანზორში“, „ქართა ქალაქში“, — ოღონდ გარდაქმნა ადამიანთა ფსიქიკაში, მათი ცხოვრების წესში. ამით „ქართველმა არტისტებმა და მათმა გენიალურმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს“ (ა. ქრისტენსენი). ახმეტელის თეატრის ბრწყინვალე მხატვარს ი. გამრეკელს, მსახიობებს ღრმად ესმოდათ თავიანთი მისია ახალ თეატრში. ისინი ახმეტელის თანამოაზრეები იყვნენ.

ახმეტელის მიერ დადგმული პიესების დიდი ნაწილი არ ეკუთვნოდა შექმნეს თანამოაზრე მსახიობებმა, მხატვრებმა და კომპოზიტორებმა. სანდრო ახმეტელის ძლიერმა ნებისყოფამ, მისმა დიდმა მხატვრულმა, ორგანიზატორულმა ნიჭმა შეაკავშირა ისინი. ამათ ერთიანობას, თანამოაზრეობასა და თანამდგომლობას ქმნიდა კორპორაცია „დურუჯიც“, რომელსაც სანდრო ახმეტელი მეთაურობდა.

1922-1926 წლებში სანდრო ახმეტელი კოტე მარჯანიშვილის გვერდით იყო. ისინი ერთად უყრიდნენ საფუძველს ქართული თეატრის უნივერსალურ რეჟისურას, რომელიც შემდეგ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განავითარეს.

კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის ერთობლივი დადგმები (ჯ. სინგის „გმირი“, თ. ვახვახიშვილის „მზეთამზე“, ნ. აზიანის „დეზერტირკა“ და სხვა) ზუსტად გამოხატავდნენ მათი მხატვრული პრინციპების სიახლოვეს: ისინი იცავდნენ თეატრის მაღალი მოქალაქეობრიობის, რევოლუციური თანამედროვეობის, საშემსრულებლო არსენალის განახლების პრინციპებს, ამკვიდრებდნენ პირობითი თეატრის ესთეტიკას, ქმნიდნენ რეჟისორული თეატრის საძირკველს.

კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის თანადგომობის ოთხი წელი ისეთივე ისტორიული აუცილებლობა იყო, როგორც შემდგომ მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოღვაწეობა.

სანდრო ახმეტელის სტილურ ძიებებში გამორჩეული იყო გმირულ-რომანტიკული ნაკადი. ამ მხრივ უნდოდა დაენახა ქართველი ხალხის ბუნება, მისი ისტორიის ტრაგიზმი. მისი აზრით, რუსთაველმა, ბარათაშვილმა და ვაჟა-ფშაველამ გამოხატეს ერის გმირული სულის უწყვეტი შინაგანი მთლიანობა, გვიჩვენეს ძლიერი ხასიათების, სულიერი მონუმენტალიზმის ნიმუშები. ზეაწეულობა, ტრაგიკული გრძნობა, მოყვასისათვის თავის გაწირვა, მაღალი ზნეობრიობა, — ყველაფერი, რაც ქართველ მწერალთა შემოქმედებაში გამოვლინდა, „ქართლის ბედზე“ ფიქრით იყო შთაგონებული. ახმეტელსაც ამგვარი თეატრი ესახებოდა იდეალად. გმირულისა და ფსიქოლოგიურის სინთეზი მას საშუალებას აძლევდა ღრმა ადამიანური განცდები და ურთულესი სულიერი ძვრები გამოეხატა მონუმენტური ფორმებით.

აჯამებდა რა თავის მიღწევებს, ახმეტელი ეუბნებოდა: „ჩვენ ბევრ ეროვნულ ფენომენს ვიკვლევ, ეროვნულ ნიმუშებს ვეძებ, ეროვნულ ფორმებს ვეძებ, ეროვნულ ენერგიებს ვეძებ, ეროვნულ ენერგიებს ვეძებ, ეროვნულ ენერგი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲜᲘ

▼▼

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს გამოუშვა მხატვრული კონვერტი მარკით, რომელიც ეძღვნება რაკეტმშენებლობისა და კოსმონავტიკის დარგში გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისა და კონსტრუქტორის ს. პ. კოროლიოვის დაბადების 80 წლისთავს. კონვერტზე გამოსახულია მეცნიერის პორტრეტი კოსმოსური ხომალდის „ვოსტოკის“ სასტარტო დანადგარის ფონზე წარწერით: „ს. პ. კოროლიოვის სახელთან ყოველთვის იქნება დაკავშირებული ყველა დროის მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მოსაპოვარი — კაცობრიობის მიერ კოსმოსური სივრცის ათვისების ერის დაწყება“. მარკაზე გამოსახულია დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის ორბიტა და წარწერილია სიტყვები: „აკადემიკოს ს. პ. კოროლიოვის დაბადების 80 წლისთავი“.

გალში გაიხსნა სახბანკის ახალი შენობა. იგი აუშენა საქპიდროენერგომშენის ენგურჰესის საგზაო მშენებლობის სამმართველომ (უფროსი — ზ. ძოწენიძე, სამუშაოთა მწარმოებელი — რ. ჭანტურია).

სურათზე: სახბანკის ახალი შენობის ხედი.

თ. ფუტკარაძის ფოტო.

▼▼

ბათუმში გაიხსნა აჭარის ასსრ სახაგრომრეწვის სამეურნეობათაშორისო ხე-ტყის საწარმოო გაერთიანების მაღაზია „ტყე-ბაღი“. აჭარის მცხოვრებლებს აქ შეუძლიათ შეიძინონ ციტრუსების, კაკლის, ვაშლის, მსხლისა და სხვა ხეხილის ნერგები.

ახლად გახსნილ მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ აგრეთვე საოჯახო ნივთებიც — პურის საჭრელი დაფები, კოვზები, როდინები, სამარილეები, ჯამები და ა. შ. იყიდება სხვადასხვა სადურგლო იარაღი, საშეურნეო საქონელი.

▼▼

ორი ამერიკელი მოქალაქე — პილოტი დარი პენსი და მექანიკოსი ჯეიმს ადიენტი გადაარჩინა საბჭოთა თბომავლის „ვოლოდარსკის“ ეკიპაჟმა.

აი, რა გვაცნობს მეზღვაურებმა ატლანტიკიდან: ამერიკული ვერტმფრინავი, რომლის საბორტო ნომერი იყო 47782, კოლუმბიიდან ბრუნდებოდა, სადაც ნავთობის გადაზიდვაზე მუშაობდა. აფრენიდან სამი საათის შემდეგ ფრთების კონტროლის სისტემის უწესრიგობის გამო მანქანა წყალში ჩავარდა და ჩაიძირა. პილოტი და მექანიკოსი ტივზე გადახტნენ. დაზარალებულნი შეამჩნიეს თბომავალ „ვოლოდარსკიდან“, რომელიც პავანაში მიეშგზავრებოდა. მეზღვაურებმა ისინი გემზე აიყვანეს და აღმოუჩინეს დახმარება.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲠᲘᲮᲜᲘᲗ

მᲖᲘᲗ გასხივოსნებული ქართული მიწის მომხიბლავი პეიზაჟები გადაეშალათ იანვრის სუსხიან დღეებში მოსკოველებს პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის მცირე დარბაზში, სადაც „საბჭოთა მუსიკის საღამოების“ ციკლით გამართა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი. ეს საღამო გახდა ოსტატის შემოქმედებითი ანგარიში დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს.

კონცერტზე აყღერდა კომპოზიტორის ბოლო წლების თხზულებანი. მისთვის ჩვეული ოსტატობითა და შთაგონებით შეასრულა სონატა ფორტეპიანოსათვის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, პიანისტმა ეთერ ანჯაფარიძემ. ოთხი ვირტუოზი — ბოროდინის სახელობის სახელმწიფო კვარტეტის მუსიკოსები იყვნენ ოთარ თაქთაქიშვილის „სიმებიანი კვარტეტის“ საუკეთესო ინტერპრეტატორები. მათ უაღრესად ზუსტად გახსნეს ავტორის ჩანაფიქრი, ოსტატურად შეასრულეს კომპოზიტორის მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობით აღბეჭდილი ნაწარმოები.

მეორე განყოფილებაში აყღერდა პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსებზე შექმნილი ვოკალური ციკლი „სამიჯნურო სიმღერები“. სოპრანოს, ტენორისა და გუნდისათვის დაწერილი ნაწარმოები შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა ზურაბ სოტკილავამ, რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ნატალია გერასიმოვამ და მოსკოვის კამერულმა გუნდმა რსფსრ სახალხო არტისტის პროფესორ ვლადიმერ მინინის ხელმძღვანელობით.

— ორი ათწლეულია გრძელდება ჩვენი შემოქმედებითი თანამეგობრობა გამოჩენილ კომპოზიტორთან ოთარ თაქთაქიშვილთან, — თქვა მოსკოველმა ჟრმაისტერმა. — ყველაფერი დაიწყო ორატორიით „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელსაც მივმართეთ 1966 წელს — შოთა რუსთაველის იუბილეს წელს. ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედება ეროვნულ კულტურასთან თავისთავადი ოსტატის სულიერი შერწყმის უაღრესად მკაფიო ნიმუშია. ჩვენ დიდი გატაცებით ვმუშაობდით ციკლზე „სამიჯნურო სიმღერები“, რომლის სრულად გახსნაში ფასდაუდებელი როლი შეასრულა ზურაბ სოტკილავამ. სოპრანოს პარტიას ჩინებულად გაართვა თავი ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატმა ნატალია გერასიმოვამ.

„ბისზე“ შესრულდა სიმღერები ზურაბ სოტკილავასადმი მიძღვნილი ციკლიდან „აკაკის ჩანგი“. მადლიერი მსმენელის ტაში სამართლიანად ეკუთვნოდა ავტორსაც და შემსრულებელსაც.

ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი მოსკოვის მუსიკალური ზამრის მკაფიო ქართული შტრიხი გახდა. მოსკოველთა და დედაქალაქის სტუმართა გულითადი ქართველ შემსრულებლებთან გრძელდება. მარტო იანვარში მოსკოველ კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზმა მუსიკის მოყვარულთა იზიდვა საქართველოს სახალხო არტისტის, დედაქალაქის კონსერვატორიის პროფესორის მარინე იაშვილის, სსრ კავშირის სახალხო არტისტების ცისანა ტატიშვილისა და დირიჟორ ჯანსუღ კახიძის კონცერტებზე.

(**საძინფორმი**).

ᲝᲒᲝᲡ, ᲝᲒᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲛ...

ᲐᲮᲚ უწოდა მათემატიკას გასული საუკუნის გამოჩენილმა გერმანელმა მათემატიკოსმა კ. ფ. გაუსმა. ამ აზრის მართებულობას უთუოდ ამტკიცებს ჩვენს დროში თითქმის ყველა ძირითადი მეცნიერების მათემატიზაცია. დღეს ძნელად დაასახელებთ მეცნიერების დარგს, თავიისი განვითარების პროცესში რომე მოცულობით რომ არ იყენებდეს მათემატიკურ ხერხებსა და მეთოდებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებები დასაბამიდანვე იყენებდნენ მათემატიკას. მეტნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როდესაც საწარმოო ძალების განვითარებაში თვისებრივი ნახტომი ხდება, როცა მეცნიერება წარმოების წარმმართველ ძალად გადაიქცევა და მეცნიერული აღმოჩენები სწრაფად პოულობს გამოყენებას წარმოებაში, ცხადია, განუზომლად იზრდება მათემატიკის როლი. მას იყენებენ სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა სფეროში.

სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება დღეს უმაღლესი სკოლის უმთავრესი ამოცანაა. ყველა პროფილის სასწავლებელში სპეციალისტთა მომზადება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე უნდა წარმოებდეს. განსაკუთრებით მაღალ დონეზე უნდა იყოს მათემატიკის სწავლება ყველა იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელთა პროფილი მჭიდროდ არის დაკავშირებული მათემატიკასთან. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება მოითხოვს, რომ არსებითად გარდაიქმნას საინჟინრო ტექნიკური განათლება. მან ისეთი კადრები უნდა მოგვცეს, რომელთაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ რევოლუციური გარდაქმნები ტექნიკაში, ტექნოლოგიასა და წარმოების ორგანიზაციაში.

საინჟინრო სპეციალობებზე ძირფესვიანად უნდა განახლდეს და გაუმჯობესდეს მათემატიკის სწავლება. საჭიროა დაიხვეწოს ყველა სპეციალობაზე მოქმედი პროგრამები. ეს პროგრამები მომავალში უნდა შეიტანოს თანამედროვე მათემატიკის პრობლემატიკური საკითხებით, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ტექნიკის მეცნიერებათა პროგრესს.

კიდევ უფრო მეტ დახვეწას და განახლებას მოითხოვს მათემატიკის პროგრამები ეკონომიკურ სპეციალობებზე. უნდა გაძლიერდეს ფაკულტეტზე მათემატიკური პროგრამირების, აგრეთვე დაგეგმვის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების სწავლება, მომავალი ეკონომისტები საფუძვლიანად უნდა იცნობდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგს, მათ უნდა გამოვუმუშაოთ უნარი — იყენებდნენ სამეურნეო სიტუაციებისა და გადაწყვეტილებების მათემატიკური მოდელირების მეთოდებს.

სრულყოფას მოითხოვს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია. სამწუხაროდ, ჩვენი სტუდენტების დიდ ნაწილს არ უყვარს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა. სტუდენტთა უმრავლესობა ლექტორისგან მოითხოვს ლექციის კარნახს, რათა შემდგომ ამ სიტყვა-სიტყვით ჩაწერილი კონსპექტით გავიდეს ფონს გამოცდაზე, წერაზს, სახელმძღვანელოს გამოუყენებლად. ჩვენდა სამწუხაროდ, თვით ძლიერი სტუდენტებიც კი ხშირად ასე ამზადებენ საგანს მაშინაც კი, როცა მშობლიურ ენაზე არსებობს და ხელმისაწვდომია სახელმძღვანელო.

ყველაფრის თავიდათავი ის არის, რომ სკოლა ვერ აჩვევს მოსწავლეს მათემატიკის სახელმძღვანელოზე მუშაობას და შემდეგ ეს გრძელდება უმაღლეს სასწავლებელშიც. სტუდენტს არ უნდა მივაწოდოთ ყველაფერი გადაღეჭილი, უნდა ვასწავლოთ ფიქრი და დამოუკიდებელი აზროვნება. ყოვლად გაუმართლებელია სტუდენტისადმი ყოველგვარი გადაჭარბებული მეურვეობა.

სკოლაში მათემატიკის სწავლების დონის ასამაღლებლად საჭიროა მისი დაკომპლექტება კარგი პედაგოგებით. კარგი პედაგოგები კი უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების მათემატიკურმა ფაკულტეტებმა უნდა მოამზადონ. აქაც, თავის მხრივ, საჭიროა ახალი კონტინგენტის ოპტიმალური შერჩევა. ასე რომ, სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ავსებს ერთი მეორეს კარგი მოსწავლეებით, ხოლო მეორე — პირველს კარგი მასწავლებლებით. ასეთი შევსება რომ მაღალ დონეზე იყოს, კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს როგორც მისაღები, ისე სახელმწიფო გამოცდები.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ კეთდება სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის კავშირის განსამტკიცებლად. დიდად ეფექტიანია ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის მათემატიკის კათედრებზე შექმნილი ეგრეთ წოდებული „სიმებიანი კვარტეტის“ საუკეთესო ინტერპრეტატორები. მათ უაღრესად ზუსტად გახსნეს ავტორის ჩანაფიქრი, ოსტატურად შეასრულეს კომპოზიტორის მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობით აღბეჭდილი ნაწარმოები.

მეორე განყოფილებაში აყღერდა პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსებზე შექმნილი ვოკალური ციკლი „სამიჯნურო სიმღერები“. სოპრანოს, ტენორისა და გუნდისათვის დაწერილი ნაწარმოები შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა ზურაბ სოტკილავამ, რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ნატალია გერასიმოვამ და მოსკოვის კამერულმა გუნდმა რსფსრ სახალხო არტისტის პროფესორ ვლადიმერ მინინის ხელმძღვანელობით.

— ორი ათწლეულია გრძელდება ჩვენი შემოქმედებითი თანამეგობრობა გამოჩენილ კომპოზიტორთან ოთარ თაქთაქიშვილთან, — თქვა მოსკოველმა ჟრმაისტერმა. — ყველაფერი დაიწყო ორატორიით „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელსაც მივმართეთ 1966 წელს — შოთა რუსთაველის იუბილეს წელს. ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედება ეროვნულ კულტურასთან თავისთავადი ოსტატის სულიერი შერწყმის უაღრესად მკაფიო ნიმუშია. ჩვენ დიდი გატაცებით ვმუშაობდით ციკლზე „სამიჯნურო სიმღერები“, რომლის სრულად გახსნაში ფასდაუდებელი როლი შეასრულა ზურაბ სოტკილავამ. სოპრანოს პარტიას ჩინებულად გაართვა თავი ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატმა ნატალია გერასიმოვამ.

„ბისზე“ შესრულდა სიმღერები ზურაბ სოტკილავასადმი მიძღვნილი ციკლიდან „აკაკის ჩანგი“. მადლიერი მსმენელის ტაში სამართლიანად ეკუთვნოდა ავტორსაც და შემსრულებელსაც.

ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი მოსკოვის მუსიკალური ზამრის მკაფიო ქართული შტრიხი გახდა. მოსკოველთა და დედაქალაქის სტუმართა გულითადი ქართველ შემსრულებლებთან გრძელდება. მარტო იანვარში მოსკოველ კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზმა მუსიკის მოყვარულთა იზიდვა საქართველოს სახალხო არტისტის, დედაქალაქის კონსერვატორიის პროფესორის მარინე იაშვილის, სსრ კავშირის სახალხო არტისტების ცისანა ტატიშვილისა და დირიჟორ ჯანსუღ კახიძის კონცერტებზე.

(**საძინფორმი**).

ᲡᲢᲘᲥᲘᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲘᲮᲔᲕᲡ

ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ შორის პოპულარულია საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრის სპექტაკლი „ფიროსმანი — მეფე“.

სპექტაკლი დადგა და მუსიკალურად გააფორმა საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს კომკავშირის პრემიისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა ამირან შალიკაშვილმა.

სურათზე: ამირან შალიკაშვილი ფიროსმანის როლში.

ვ. პეტროსიანის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა)

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲛᲔᲣᲤᲔ ᲥᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ მესაფლავის სევდით მოსილი პერსონაჟი მარადიულ, ფილოსოფიურ მსჯელობასაკენ უბიძგებს მოკვდავს, რადგან „ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“.

მესაფლავის ხელშეუვლელად თითქმის არავინ მიდის ამა ქვეყნიდან ისევე, როგორც ბებიაქალის კალთაში დაუჭყავებლად არავინ მოვსულვართ ამ წუთისოფელში!

ვის არ ახსოვს „დიდოსტატის მარჯვენა“, ზეფიზოსოფიური ფინალი.

წვიმა და თქეში გიორგი მეფის დაკრძალვისას. ერთი მესაფლავე ეუბნება მეორეს — არც სიკვდილში ჭკნინაო ბედი გიორგი მეფეს. შექსპირის მესაფლავეები ხომ ისე თხრიან საფლავს, თითქოს კაცობრიობას უპირებდნენ შიგ ჩასვენებას...

დიდმა გალაკტიონმა მთლად „მესაფლავე“ უწოდა თავის შედეგს:

„მესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმწუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?...“.

რა თქმა უნდა, არა...

აი, აქ კი განეშორდეთ ხელოვნებაში მესაფლავის კლასიკურ მოდელს და ჩვენი ქალაქის სასაფლაოს და მესაფლავეთ მივაკითხოთ...

მსოფლიოს ბევრ ქალაქშია ისეთი სასაფლაოები, სადაც ტურისტები დაჰყავთ, ხელოვნების ნიმუშებით არის სავსე სამარხები. ჩვენ სასაფლაოებზე კი შეავა თუ არა კაცი, პირველად ეს წამოსცდება:

— აუ, რა ფულია ჩაყრილი?!.

ძალიან ხშირად ჭირისუფალი ზის და მარტო მიცვალებულს კი არ მოთქვამს, თავის თავსაც ტირის... მართალია, სალაროც არსებობს, სადაც ნიხრის მიზედვით უნდა გადაიხადოს ჭირისუფალმა ფული, მაგრამ იმედია ყველაზე გაუცნობიერებელი მკითხველიც კი არ იკითხავს, რა ფულზეაო ლაპარაკი. რა თქმა უნდა, საფლავის ქვისა და აგების საფასურზე, რომელიც ოფიციალური ნიხრით სხვაა და არაოფიციალურით— სულ სხვა...

საფლავებიც სხვადასხვაგვარია — სადა, მოკრძალებული, უბრალო ქვის, მარმარილოსი (სხვადასხვა ფერის და ხარისხისა) იდგმება ბიუსტები, ძეგლები, ბარელიეფები (სხვადასხვა ზომისა და სიმაღლის)... უმეტესად ერთმანეთის წამახედურობით.

ზოგს ვერც გაამტყუნებ — დაკარგა უახლოესი ადამიანი, და თუ რამე გაანირა, დაუზოგავად შეუძლია გაიღოს (ზოგჯერ ეს უკანასკნელი ლუკმის ხარჯზეც ხდება). როცა მძარცველ-მგლეჯელი პაიჰარად ნაშავენ ფულს ყრის, თავში ქვა უხლია — უნდა ძეგლი დაუდგას თვის მიცვალებულს და უნდა მეტროს სადგური ააშენოს, მაგრამ რამდენ ქვრივ-ობოლს უკანასკნელი გაუყიდია და საფლავის მკეთებლებისათვის ჩაუთვლია?..

მესაფლავე უბრალო მშრომელი კაცია, რომელიც ჭირისუფლის დავალებით „გააპატიოსნებს“ მიცვალებულს, იქვე დალევს ორ ჭიქა ღვინოს, გაიდებს მხარზე ბარს და წავა...

ესენი ვინ არიან, ესენი, „სიკვდილის სინდიკატი“ რომ გაუხსნიათ და სხვისი უბედურებით ვაჭრობენ, ყველას თვალწინ უშიშრად და მოურიდებლად?

ათასობით და ათიათასობით მანეთი იყრება ამ უგემოვნებაში... სიკვდილი ერთი უბედურებაა ჭირისუფლისათვის, დაკრძალვა — მეორე.

საკმარისია გულისყურით ჩაიხედოთ ჩვენს სარეფაქციო ფოსტაში, მკითხველს ათას დარდსა და გულისტკივილს ამოიკითხავთ.

„**ᲓᲔᲓᲐ** ადრე გარდამეცვალა, კუკაიზე დაკრძალეს, — გვწერს თბილისში სევასტოპოლის ქუჩაზე მცხოვრები ნ. ა., — სხვადასხვა მიზეზისა გამო არ ვიცოდი საფლავის ადგილმდებარეობა. როცა წამოვიზარე და ვცადე ნათესაობის დახმარებით მოძიება დედის საფლავი, უკვე დაკარგული დამხვედა. იმ ადგილას; სადაც ვარაუდით დედაჩემის საფლავი უნდა ყოფილიყო, სხვა დიდი „საოჯახო საფლავია“.

ვინ იცის, რამდენი ასეთი ახალი საფლავია „გაშენებული“ ძველი საფლავების ადგილას“.

„**1961 ᲬᲚᲘᲡ** ვაკის სასაფლაოზე, მთავარ შესასვლელთან, გზის გაგაპირას ახლობლის დასაკრძალად ადგილი მივიჩნიე და ვითხოვე კიდეც. ცივი უარი მითხრეს, გასასვლელი დავიწროვდებაო. რა უნდა გვექნა, დაემორჩილდით ბრძანებას. ამ 5-6 წლის წინათ ამ სასაფლაოზე მომიხდა ყოფნა, ახლა იმ ადგილას ორი კაკი ვერ შეუვლის გვერდს, ახლა მუხთაგვერდშიც კი ასე კეთდება, ვინ არის გამკითხავი?“. — გვწერს თბილისიდან ჩიქოვანის ქუჩაზე მცხოვრები ინჟინერი ბ. მ.

„...**ᲗᲐᲥ**, რომ ასეც ხდება ხოლმე, უფრო მეტიც — პროტექციით კი არა, ანგარებითაც ხდება თურმე, სქელჯიბიანებისათვის საფლავების გამოძებნა უკვე გაუქმებულ ლექსიკონად ითვლება. ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედება ეროვნულ კულტურასთან თავისთავადი ოსტატის სულიერი შერწყმის უაღრესად მკაფიო ნიმუშია. ჩვენ დიდი გატაცებით ვმუშაობდით ციკლზე „სამიჯნურო სიმღერები“, რომლის სრულად გახსნაში ფასდაუდებელი როლი შეასრულა ზურაბ სოტკილავამ. სოპრანოს პარტიას ჩინებულად გაართვა

ᲖᲚᲘᲩᲝᲜᲘ

ღღე დამთავრდა) შოთას საუფლო კანტორაში გამოცხადდა ვინმე სობოლევი. სალამ-ქალამის შემდეგ შეიტყო, რომ ვ. სობოლევს სურს ნათესავის საფლავისათვის მარმარილოს ქვა.

— ამ ქვაზე სურათის დახატვა თუ გნებავთ? — იკითხა თანაგრძნობით შოთამ.

— აუცილებლად!

— წარწერა?..

— ორი აზრი არ არსებობს...

275 მანეთი და 60 კაპიკი უანგარიშეს ჭირისუფალს, რომელმაც დიდი სიზუსტით შეიტანა იგი ხაზინაში. დადგა პირადი ანგარიშწორება-გარიგების დრო, და ამ „სამოქალაქო მომსახურების“ ქუჩუმმა დამატებით 1000 მანეთი მოითხოვა... ეს ისე არხეინად უთხრა, ეტყობოდა, პირველი შემთხვევა არ იყო მისთვის.

დამემულ დღეს, გამზადებული „შეკვეთის“ გადასაცემად, ბულაცაშვილმა ჭირისუფალი თავის ოთახში შეიყვანა. არ გასულა დიდი დრო და თვითონ შეიყვანეს ბულაცაშვილი, სადაც ჯერ არს და აუხსნეს, რომ ის, რაც მან ჩაიდინა, გამოძალვა და მექრთამეობა და კანონით მკაცრად ისჯება...

მკითხველს მოეხსენება, საგაზეთო სამქმიანობაში იხმარება რუბრიკა „უკანასკნელ საათს“. ამ რუბრიკით იბეჭდება გაზეთის გამოშვების წინ მიღებული ცინცხალი ფაქტები. ზუსტად ასე მოხდა — ეს ფელეტონი მზად გვქონდა, ელდანის რაიონის პროკურორის თ. მახარაძის ცნობა მივიღეთ, რომელშიც მოთხრობილი ფაქტი ზუსტად ჰგავს ზემოთ აღწერილ ამბავს, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: ჩანს, ყველგან ერთ დღეშია საცოდავი ჭირისუფალი.

ამის სადემონსტრაციოდ ვბეჭდავთ ამ ცნობას:

„საქმეზე შეკრებილი მასალებით დადგენილია, რომ მოქ. გ. ბერიელ გაბარაევს, ქვის დამშუშავებელ საამქროში, შავი ქვის — გაბრო — (40X40 სმ.) შესაძენად 450 მანეთის ნაცვლად სთხოვეს 900 მანეთი. დამნაშავეების მარტირენკოს და არჩვაძის დანაშაულებრივი მოქმედების ფაქტის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე“.

ხაშურში შემოვიდა ანონიმაკი, ვინმე გენრიხ მეტრეველმა ქვიროობლები დაძარცვა (ანონიმაკ უძახეთ თქვენ!), შეამოწმეს და... მართალი არ აღმოჩნდა?

საფლავის ზომა და ფასის დარღვევით 30 კაცისათვის 2400 მანეთი წუხელ ჯერ!

ეტყობა, ჭეშმარიტება, მართალ, მარტო მესაფლავემ იცის... ის კი არაფერს ამბობს, გვასაფლავებს და იღიმება, სარწმუნო წყაროები კი ამტკიცებენ, რომ მან ყველაფერი იცის.

„იცის, იცის მესაფლავემ, როგორც არის, როგორც ხდება...“.

ეჭნებ გამოჩნდეს ვინმე და ამქმევიროს ამ კაცს, რა იცის ასეთი რომ თვითონ იღიმება, ჩვენ კი ვერა და ვერ მოგვიწესრიგებია ეს უბრალო საქმე, რომელსაც შთამბეჭდავი სახელი აქვს — „სამოქალაქო მომსახურება“, სადაც არც მომსახურებაა და არც მოქალაქეობა... მექრთამეობა — იცოცხლეთ!

ᲠᲔᲖᲝ ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲝᲕᲐᲛ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲩᲐᲐᲓᲔᲜᲘᲜᲐ

ᲡᲡᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲞᲘᲐᲗᲝᲠᲘᲡ „ავარიონის“ დასახლების მცხოვრებ ვარდენ საყვარელიძეს ბინაში აღმოუჩინეს შენახული ნარკოტიკული ნივთიერებანი და მათი დასამზადებელი ნედლეული.

როგორც თავად აღიარა, იგი 1975 წლამდე ჩაირობდა ნარკოტიკულ ნივთიერებებს, იძენდა და ამზადებდა კიდეც ანამს. ნარკომანობამ ახალ, შემაზარზარ დანაშაულამდე მიიყვანა.

საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ავტოსატრანსპორტო მეურნეობაში მძღოლად რომ მუშაობდა, ვ. საყვარელიძემ თვალთმაქცობით დაიახლოვა მის მეზობლად მცხოვრები მცირეწლოვანი გოგონა მ. შ. მისი ნდობა დაიმსახურა, რასაც ჟბედითი შედეგი მოჰყვა.

ერთ დღეს ვ. საყვარელიძემ თავისი მცირეწლოვანი მსხვერპლი მოტყუებით შეიყვანა საკუთარ ბინაში, მიაწოდა და მოაწევინა პაპიროსი, გააბრუა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი გააუპატიურა, ბინიდან გაუშვების წინ კი დაეშუქრა, ეს ამბავი არ გაეგებინა, თორემ შენც მოგკლავ და ოჯახსაც ამოგიწყვეტავო. როცა გოგონამ გაიგო, რომ ვ. საყვარელიძე ყოფილა, შეშინდა და მთლიანად მოექცა მისი გავლენის ქვეშ, ამიტომ თავისი უბედურება არავისთვის გაუმხელია.

...ნარკომან ვ. საყვარელიძის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულობებს ფარდა ეხადა. განსასჯელს სკამზე დასვეს უზნეო და კაცთმოძულე ვ. საყვარელიძე, რომელიც სხვადასხვა დანაშაულისათვის 5-ჯერ ნასამართლე�ა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ ვ. საყვარელიძეს შეუფარდა 14 წლის თავისუფლების აღკვეთა; აქედან 5 წელი საყრობილეში უნდა მოიხადოს, ხოლო 9 წელი — მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.

Ლ. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ინსპექტორი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲘᲓᲘᲗᲝᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒ.

საქართველოს მთის რაიონებში გრძელდება ბრძოლა დიდთოვლობის შედეგების წინააღმდეგ. ადამიანებმა სტიქიას დაუპირისპირეს ვაჟკაცობა, სიმტკიცე და ორგანიზებული მუშაობა. ადგილობრივ მცხოვრებთა ერთობლივი მოქმედების, ოპერატიული დახმარების შეოხებით, რომელიც გაუწიეს დაზარალებულ რაიონებს სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მაშველმა მოხალისეებმა, ავიატორებმა, საბჭოთა არმიის მეომრებმა, სამოქალაქო თავდაცვის სამსახურების, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მუშაკებმა, სტიქია ნელ-ნელა უკან იხევს. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარობს ადგილებზე აღდგენითი სამუშაოები, გვიამბობენ საქინფორმის კორესპონდენტები.

ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲐ. აღდგენითი სამუშაოების ტემპს აძლიერებენ რაიონის მშრომელები. ბობოქარ სტიქიას, რომელიც მოულოდნელად დაატყდა თავს 132 სოფელს, სვანები ვაჟკაცობას, გამძლეობას, დარაზმულობას უპირისპირებენ. დღეს რაიონში ერთი კაციც არ დარჩენილა, რომ მონაწილეობა არ მიეღო მაშველ სამუშაოებში, დითოვლობის და ზვავების შედეგების ლიკვიდაციაში.

სტიქიური უბედურების დაწუხებისთანავე მოხალისენი შეუდგნენ მაღალ და დაბალძაბვიანი ელექტროგადამცემი ხაზების წაქცეული საყრდენების აღდგენას, ნაზვავი ადგილების და საავტომობილო გზების გაწმენდასა და აღდგენას. სადღეისოდ ყველა ზვავსაშიში ადგილიდან გახიზნეს და დაბინავეს 290 ოჯახი — 1.520 კაცი. მესტია-დიზის მიმართულებით ორმოცი კილომეტრის მანძილზე კვლავ აღიმართა ენერგომომარაგების ხაზები. რაიონში უკვე აღდგენილია 45 კილომეტრი გზა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გასაწმენდია 121 კილომეტრი რესპუბლიკური ტრასა, 68 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, აღსადგენია 220 კილომეტრი სატელეფონო ხაზები, 32 კილომეტრი — მაღალძაბვიანი და 82 კილომეტრი — დაბალძაბვიანი ელექტროგადამცემი ხაზები.

რაიონი უზრუნველყოფილია ურსათ-სანოვაგით, მედიკამენტებით და საწვავ-საპობი მასალით. სატელეფონო ხაზის დაზიანების გამო მესტიის რაიონთან დამყარებულია სადღეღამისო რადიოკავშირი.

ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲘ. ამ რაიონებს შორის, რომლებსაც ყველაზე მეტად დაატყდათ თავს გამძვინვარებული სტიქია, ლენტეხის რაიონიცაა. ახლა აქ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. როგორც პარტიის რაიკომში თქვეს, უკვე აღდგენილია სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი. თვით ლენტეხსა და მეტ წილ სოფლებში მოგვარდა ელექტროენერგიის მიწოდება. გაიხსნა მოძრაობა ცაგერამდე, სადაცაა დამთავრდება საწმენდი სამუშაოები საავტომობილო გზაზე, რომელიც რაიონულ ცენტრს უკავშირებს ჩიხარეშს და სხვა სოფლებს.

აქ უკვე არ განიცდიან სურსათის ნაკლებობას: მას რიტმულად იღებენ ქუთაისიდან.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. ნორმალური ხდება „თოვლის“ ვითარება დუშეთის რაიონში. მთელი ძალით მუშაობს თოვლსაწმენდი ტექნიკა, რომელიც ათავისუფლებს გზებს ნამქერებისა და ხერგილებისაგან. უკვე გაიხსნა და ფუნქციონირებს რაიონის პრაქტიკულად ყველა ძირითადი ტრასა. ამ დღეებში აღდგება საგზაო კავშირი ყველაზე დაშორებულ და მაღალმთიან სოფლებთან.

— ფასდაუდებელია დახმარება, რომელსაც გვიწევენ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, — თქვა პარტიის დუშეთის რაიკომის მეორე მდივანმა ე. ღარიბაშვილმა. — ვერტმფრინავების მეოხებით, კერძოდ, მოვახერხეთ ზვავსაშიში ზონებიდან ხალხის დროული ევაკუაცია, საშველი სამუშაოების წარმოება. ეს სამუშაოები არ წყდება. აი, ახლაც, სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლის შტაბიდან მივიღეთ ცნობა, რომ სოფელ ხახმატში საკუთარ სახლებში გამომწყვდეული ალმოჩნდა სამი კაცი. ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შემდ